

ვიოლა ვაშაკიძე

„ინგლისური საკუთარი სახელები“

ა მ ბ ა ვ ი

ორთოგრაფიულ-ორთოეპიურ-ეტიმოლოგიური
ლექსიკონის გამოცემა-არგამოცემის შესახებ

2016
თბილისი

ვიოლა ვაშაკიძე

„ინგლისური საკუთარი სახელები“

ა მ ბ ა ვ ი

ორთოგრაფიულ-ორთოეპიურ-ეტიმოლოგიური
ლექსიკონის გამოცემა-არგამოცემის შესახებ

ორ ნაწილად

2016
თბილისი

ნაშრომი ეძღვნება უცხო საკუთარი სახელების ქართულ ორთოგრაფია ორთოეპიის დღესდღეისობით ფრიად საჭირობოროტო საკითხებს. იგი განკუთვნილია როგორც მეცნიერების, მთარგმნელების, მოსწავლე ახალგაზრდობისა და საკითხით დაინტერესებული ფართოსაზოგადოებისათვის.

სარჩევი

1. ნაწილი I	
ამბავი ნაშრომის გამოცემა-არგამოცემისა	4
2. ნაწილი II	
ნაშრომის სამეცნიერო საკითხები – ზოგადი მიმოხილვა, ასოთშეთანხმებები, გემინატი, ამოღებული ასოები, მთავრული, დეფისი, მახვილი	17
3. დოკუმენტები	
ა) მომხდარი ამბების შესატყვისი მტკიცებულებები	30
ბ) რეცენზიები და დისერტაცია	65
გ) ილუსტრაციები	84
პ. გუგუშვილი, რ. ბერულავა, პ. ნაცვლიშვილი, ი. პაპავა, გ. ახვლედიანი, ა. ურუშაძე და საენციკლოპედიო მასალა	

ნაწილი I

ჩემო მკითხველო, საქმე ეხება ჩემს მიერ 1980 წ. შედგენილ ინგლისურ-ქართულ საკუთარ სახელთა ლექსიკონს. ძალიან დიდი ხნის მტანჯველ-მწვალებელი ფიქრის შემდეგ, მნიშვნელოვანი სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო, უკვე ხანდაზმულმა გადავწყვიტე ჩემს ბედისწერად ქცეულ ნაშრომს ბოლომდე თავად ვუპატრონო. ამ საჭირობოროტო საკითხებზე მოგმართავთ იმ ენით, რომელიც ერთნაირად გასაგები იქნება როგორც მეცნიერის, ისე ნებისმიერი ასაკის გონიერი და გულმართალი ადამიანისთვის. ეს ნაშრომი ჩემი გულის ხეთქვაა. წარსულზე ფიქრები ამიჯანყდნენ და გადავწყვიტე 35 წლის შემდეგ ხმა ამოვიღო, სიმართლე გაგიმხილოთ და საბუთებით დაგიმტკიცოთ სინამდვილე. აქ მოხმობილი ინფორმაცია, რომელიც დიდი წვალებით და მოარებითი და არაოფიციალური გზებით არის მოპოვებული, მათ ისე წარმოვადგენ, როგორც ამას გავაკეთებდი სასამართლოში მტკიცებულების სახით. მერწმუნეთ, ეს არ არის ადვილი, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ბოლოსდაბოლოს ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას.

თხრობის სისრულისთვის და ვითარების ნათელსაყოფად საჭიროდ ვთვლი აღვნიშნო, რომ იმ ხანად, განსაკუთრებულად დიდი აქტუალობა შეიძინა საკუთარ სახელთა ერთი ენიდან მეორეში სწორად გადმოტანამ. რამდენჯერმე გაიმართა ცხარე დისკუსიები ამ თემასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ამ დროს დიდი როლი შეასრულა (1968 წ.) „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის (ქსე)“ დაარსებამ. 1970 წლის მაისში საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ქსე-სა და ენათმეცნიერების ინსტიტუტს (ინ-ტი) დაევალათ უცხო პირთა საკუთარი სახელებისა და ასევე გეოგრაფიული სახელების სპეციალური ორთოგრაფიული ლექსიკონების გამოცემა. ამ მიზნით ქსე-ში, სალიტერატურო კონტროლის რედაქციასთან შეიქმნა საგანგებო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ენათმეცნიერების ინ-ტის თანამშრომლები ივ.გიგინიევილი და მ.ჭაბაშვილი. რედაქტორად და კონსულტანტ-რეცენზენტებად მონვეულ იყვნენ უცხო ენათა სპეციალისტები. 1968 წლიდან 1993 წლამდე ქსე-ის თანამშრომელი ვიყავი და ამ პერიოდში სწორედ ამ რედაქციაში ვმუშაობდი.

ამ პრობლემასთან დაკავშირებით ზედიზედ 1973, 1975, 1978 წლებში გამოიცა საქ სსრ კომპარტიის ცკ-ს და მინისტრთა საბჭოს საგანგებო დადგენილებები. იხ. გვ. 30-33. პირადად ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1981 წ. 17 მარტის №181 დათარიღებული საქ სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება, რომელიც საზოგადოებას ამცნობდა საქ. მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარექაციო კოლეგიის დებულებას. ცნობისათვის – მოპოვებული საბუთებიდან ამოვკრიბე ჩემთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციები. აქაც და შემდეგაც, ხაზგასმა და მათ შორის გამყოფად წყვეტილი ხაზები გამოვიყენე. იხ. გვ. 31. სწორედ ერთ-ერთი დადგენილების (1975) საფუძველზე 1977 წლის 27 ივლისს აკად. ჩიქობავასა და პროფ. ნ.ყიასაშვილის რეკომენდაციით ზემოხსენებულმა კოლეგიამ დამიკვეთა ორთოგრაფიული ლექსიკონის „ინგლისური საკუთარი სახელების“ შედგენა. ხ. გვ. 34, 35. მე 1980 წლის 20 იანვარს ნაშრომი სრულყოფილი სახით დამკვეთს

ჩავაბარე. იგი ჯერ ჩემს რეკომენდატორსა და ხელმძღვანელს პროფ. ნ.ყიასაშვილს სარედაქციოდ გადაეცა. ასევე სარეცენზიოდ და დასკვნისათვის კოლეგიამ მიმართა თბილისის სახელმწიფო უნ-ტის ზოგადი ენათმეცნიერების, ინგლისური ფილოლოგიის კათედრასა და ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებულ ტოპონიმიკური კვლევის ცენტრს. მათგან კოლეგიამ მიიღო დადებითი რეცენზიები და დასკვნები ნაშრომის გამოცემის თაობაზე. იხ. გვ. 65-78. არსებული დადგენილების თანახმად 1981 წლის 15 აპრილს ნაშრომის გამოცემაზე საბოლოო რეცენზიისა და დასკვნისათვის იგი ენათმეცნიერების ინ-ტს გაეგზავნა. ზუსტად ერთი წლის შემდეგ 1982 წლის 28 აპრილს კოლეგიისგან მივიღე წერილი, რომელიც მაუწყებდა, რომ „**ინ-ტს არ შეუძლია ნაშრომის რეცენზირება იმის გამო, რომ „ვ.ვაშაკიძის ინგლისურ-ქართული ონომასტიკონის გამოცემის წინააღმდეგია ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ხელმძღვანელობა, სანამ ეს წესები განხილული და დამტკიცებული არ იქნება მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი სახელმწიფო კომისიის მიერ და სანამ გამოცემული არ იქნება უცხოურ პირთა და გეოგრაფიულ საკუთარ სახელთა ორთოგრაფიული ლექსიკონები (რომლებიც საბოლოო რედაქციას გადის).**

ამის გამო ენათმეცნიერების ინსტიტუტი თავს იკავებს ვ.ვაშაკიძის ლექსიკონის რეცენზირებისაგან, სანამ ქსე-ის მთავარი სპეციალური რედაქცია შესაძლებლად არ მიიჩნევს მის გამოცემას“. ხელი უნდა მოეწერა ინ-ტის დირექტორს აკად. ქ.ლომთათიძეს, მაგრამ წერილი ხელმოუწერელია. იხ. გვ. 37-38.

ნაშრომის გამოცემა შეჩერდა. ამ პერიოდში ქსე-ში და ენათმეცნიერების ინ-ტში გავრცელდა აზრი, რომ ჩემი ლექსიკონი წარმოადგენდა ქსე-ის „**საგამომცემლო მასალების, წესებისა და პრინციპების**“ მითვისების შედეგად შედგენილ დუბლირებულ ნაშრომს. აზრს ქმნიდნენ სალიტერატურო კონტროლის რედაქციის გამგე ც.ცერცვაძე და მ.ჭაბაშვილი. ანუ ადგილი ჰქონდა პლაგიატს. როგორც მოგახსენეთ, მე ამ დროს ამავე რედაქციაში ვმუშაობდი და ყველაფრის საქმის კურსში ვიყავი ვინ, რას, როდის და როგორ აკეთებდა. ჩანს, ეს ფაქტი ძალიან ხელსაყრელ მიზეზად გამოიყენეს. ჩემთვის ძალზე მოულოდნელი და შეურაცხმყოფელი იყო ასეთი დაუსაბუთებელი ბრალდება. ბ-ნ ნ.ყიასაშვილის თხოვნით საგანგებოდ გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდნენ რედ. გამგე ც.ცერცვაძე, ივ.გიგინიევილი და მ.ჭაბაშვილი, ჩვენ წარვადგინეთ ზემოხსენებული ლექსიკონი. ვითხოვეთ ორივე ლექსიკონის შედარება, რომლითაც ადვილად დადგინდებოდა პლაგიატი. მაგრამ, ჩემი ლექსიკონი განუხილველად უარყვეს, უარყვეს შემხვედრი წინადადებაც ნაშრომის ერთობლივად გამოცემის შესახებ. შეიქმნა სრულიად აუტანელი სიტუაცია. ამჯერად მე მივმართე თხოვნით ქსე-ის მთავარ რედაქტორს ბ-ნ ი.აბაშიძეს, მოეწვიათ კომისია საკითხის გასარკვევად. მიუხედავად მრავალგზის შეხსენებისა, კომისია მაინც არ მოიწვიეს. იხ. გვ. 40-48. ამ პერიოდში „ლიტერატურული საქართველოს“ 1983 წლის 27 მაისის №22 ნომერში დაიბეჭდა ც.ცერცვაძის წერილი „**მეტად საშური საქმე**“, რომელიც საზ-ბას აუწყებდა ზემოხსენებული „**წესებისა და პრინციპების**“ მიხედვით უკვე შედგენილი ლექსიკონების შესახებ. ჩემს აღმფოთებას და მოთმინებას ზღვარი არ ჰქონდა. წარმოუდგენელი ძალადობა სუფევდა ქსე-ში. იხ. გვ. 46.

ახლა უკვე კოლეგიამ, რომელიც ვალდებული იყო საკითხი ბოლოსდაბოლოს ოფიციალურად გაერკვია, საამისოდ, ჩემს რეცენზენტს ქ-ნ ლ.გამსახურდიას ეთ-

ხოვა „არსებული ლექსიკონებისა“ და ჩემი ყბადაღებული ლექსიკონების შედარება. დავალების შესრულება ძალზე გაჭირდა, თვეების განმავლობაში მრავალგზისი თხოვნის მიუხედავად, ვერა და ვერ მოხერხდა ნაშრომთა არამცთუ შედარება, არამედ ელემენტარული ჩანაწერების ნახვაც კი. იხ. გვ. 47. გამუდმებით დაძაბულ ვითარებაში ყოფნამ, ჭორ-მართლის გუნდაობამ ცხოვრება ჯოჯოხეთად მიქცია.

გადაწყდა კოლეგიის თავმჯდომარე ბ-ნი ო.ნოდია და პროფ. ნ.ყიასაშვილი თავად სწვეოდნენ ქსე-ის ხელმძღვანელობას. ვითარება უკიდურესად დაიძაბა. მაღალ დონეზე შეხვედრამ სხვა სახე მიიღო. შეხვედრას ესწრებოდნენ ბატონები ი.აბაშიძე, რ.მეტრეველი და თვით ჭაბაშვილიც. ბოლოსდაბოლოს, ქ-ნმა ლ.გამსახურდიამ შეასრულა თხოვნა, დასკვნაც დადო და ოქმიც შედგა. იხ. გვ. 50. შედეგად ის მივიღეთ, რომ ქსე ხელმძღვანელობა მხოლოდ ზეპირი, უპასუხისმგებლო განცხადებით დაკმაყოფილდა პლაგიატის უარყოფისა და ნაშრომის გამოცემაზე თანხმობის შესახებ. მაგრამ წერილობით ამის დადასტურებაზე უარი მივიღეთ. ახლა ყველაფერი გასაგები გახდა. ენათმეცნიერების ინ-ტის დირექტორის სახელით სარგებლობით და ქსე-ის ხელმძღვანელობის ზურგს უკან ჩადენილი იყო კრიმინალის ტოლფასი საქციელი. ტყუილი გამოდგა ქადილი ორთოგრაფიული ლექსიკონების არსებობის შესახებ. მაგრამ არც ამან უშველა საქმეს. ფაქტორივად, ინ-ტი ალბათ ისევ წინააღმდეგი იქნებოდა ნაშრომის გამოცემისა. მთელი სისრულით გათამამდა მგელისა და კრავის იგავი. სწორი გამოთქმაა ხელი ხელს ბანსო.

1983 წლის 13 დეკემბერს №600 ბრძანებით კოლეგიისგან მივიღე წერილი იმის შესახებ, რომ ჩემი ნაშრომი უკვე მეორედ გაიგზავნა ენათმეცნიერების ინ-ტში. იხ. გვ. 49 მე თავად მივმართე დასახმარებლად საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დასადგენ კომისიის თავმჯდომარეს ბ-ნ დ.ქართველიშვილს. (1984 წლის 29 თებერვალს. იხ. გვ. 51. მთელი ჩვენი ბრძოლის შესახებ საქმის კურსში იყო ბ-ნი ა.ჩიქობავაც. რომელიც უკვე მძიმე ავადმყოფი საწოლს იყო მიჯაჭვული. სწორედ მინისტრთა საბჭოში ჩემი ყოფნის დროს ჩემთვის ცნობილი გახდა მისი ბ-ნ დ.ქართველიშვილისადმი მიწერილი ჩემი საქომაგო წერილის შესახებ (1984 წ. 2 იანვარი). იხ. გვ. 53. მე რა თქმა უნდა, იგი დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ ქსეროქსით მოვიპოვე. ამის გამო მე მისი უსაზღვროდ მაღლობელი ვარ და დიდ პატივად მივითვლი ამ წერილის გამოქვეყნების უფლებასაც.

„თუ ვ.ვაშაყიძის შრომის გამოცემას საბჭოთა ენციკლოპედია გადაწყვეტს, „ინგლისურ გვარ-სახელთა ლექსიკონს“ რედაქცია დასჭირდება და არა რეცენზირება, როგორც ამას ინსტიტუტის დირექტორი წერს.

მთავარი კი სხვა მიზეზი ჩანს. ჯერ უნდა გამოიცეს „უცხოურ პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიული ლექსიკონები“ (რომელიც რედაქციას გადის), მერე შეიძლება ვ.ვაშაყიძის ლექსიკონის რეცენზირების საკითხი დადგესო.

მაგრამ ეს ხომ სხვადასხვა ლექსიკონია: სად „უცხოურ პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიული ლექსიკონი და სად ინგლისურ გვარ-სახელთა ლექსიკონი“? ინსტიტუტს საამისო სპეციალისტები არ ჰყავს და არც ინგლისურ გვარ-სახელთა ქართულად გადმოცემაზე უმუშავია. ინსტიტუტი ქართულ, რუსულ-ქართულ ლექსიკონებზე მუშაობდა. ინსტიტუტის კომპეტენციაში ეს შედის.

ყოველგვარ ლექსიკონთა შეფასებას ინსტიტუტი ვერ იკისრებს. ეს მონოპოლია იქნებოდა. მეცნიერებაში მონოპოლიას სიკეთე არასოდეს მოუტანია. ვიოლა ვაშაკიძის ლექსიკონის განხილვის უცხოური ისტორიაც ამას ადასტურებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან. არსებული ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი კომისიის წევრი:
/ა.ჩიქობავა/
2 იანვარი 1984 წ.

ბაზგასმა ყველგან ბატონ ა.ჩიქობავას ეკუთვნის. იხ. გვ. 53-54.

ამჯერად პასუხმა არ დააყოვნა. ინსტიტუტიდან გასული საპასუხო წერილსაც (16.04.84, № 10.01.02 040/1222) მივაკვლიე. იხ. გვ. 55-58.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დასკვნა.

1984 წლის 10 აპრილი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეს ბ-ნ თ.ჩერქეზიას 1984 წლის 7 მარტის მიმართვა ვ.ვაშაკიძის ინგლისურ-ქართული ონომასტიკონის შესახებ.

აქ ვერ გავუძღვებ ცდუნებას საზოგადოებას სიტყვა-სიტყვით არ გავაგებინო ინსტიტუტის წერილის შინაარსი და იქვე ჩემი პასუხებიც.

„ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ მოისმინა სპეციალური კომისიის მოხსენება ვ.ვაშაკიძის ინგლისურ-ქართული ონომასტიკონის შესახებ. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ ლექსიკოლოგიის განყოფილების გამგე, უფრ. მეცნ. თანამშრომელი მ.ჭაბაშვილი, ქართველურ ენათა განყოფილების გამგე პროფ. ბ.ჯორბენაძე, ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების გამგე დოც. შ.აფრიდონიძე.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ აღინიშნა:

1. ვ.ვაშაკიძის ნაშრომი „ინგლისურ-ქართული ონომასტიკონი“ წარმოადგენს ინგლისურ გვარ-სახელთა ლექსიკონს (1035 გვ. შესავალი ნაწილითურთ – 1187 გვ.), რომელიც შეიცავს 12000-მდე ერთეულს. ინგლისურ დანერილობას ახლავს ფონეტიკური ტრანსკრიფცია და ქართული შესატყვისები, დამატებითი ინფორმაცია, კომპონენტური ანალიზი, ეტიმოლოგიური ცნობა, ვარიანტები, დერივატები.

ნაშრომს აქვს პრეტენზია ქართული შესატყვისების ნორმატიული ფორმების დადგენისა. როგორც თვით ავტორი მიუთითებს, ფონეტიკური ტრანსკრიფციის მიხედვითაა გადმოტანილი ტერმინის ქართული შესატყვისის (პრაქტიკული ტრანსკრიფციის) „ჯერ ყველაზე სწორი და სავალდებულო ვარიანტი...“ (იხ. გვ. 3. ონომასტიკონის აგებულება“). ინგლისურ გვარ-სახელთა ქართული ტრადიცი-

ული დანერილობა კი ლექსიკონში მხოლოდ ერთგვარი დანართის სახითაა წარმოდგენილი“.

პასუხი: მადლობა უფალს! ნაშრომი გადაუშლიათ, ჩაუხედავთ და ტერმინები დაუთვლიათ კიდეც. რაკი ლექსიკონი წმინდა ორთოგრაფიულ-ორთოეპიურია, სხვაგვარად როგორ უნდა მოვქცეულიყავი! ეს ხომ ენინაალმდეგება ლექსიკონის დანიშნულებას და ლექსიკოგრაფიის ზოგადთეორიულ პრინციპებს. რაც შეეხება ნორმატულობაზე პრეტენზიას, მე კი არ მაქვს იგი, არამედ ინგლისური ონომასტიკონის ორთოგრაფია-ორთოეპიას აქვს.

2. ავტორი წერს: „სტატიის ქართულ ნაწილში მოცემულია აგრეთვე ქართული ტრადიციული ფორმები... **ნორმატულობის პრეტენზიის მქონე ლექსიკონში** სწორად და სავალდებულოდ მიჩნეული დანერილობა ხშირად განსხვავდება იმ დანერილობისაგან, რომელიც მიღებულია ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის პერსონალისა და ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონზე დართულ გამოჩენილ პირთა სიაში (მაგ.: **A** – ასოზე 20-დან 16 შემთხვევაში, **B** ასოზე 55-დან 17 შემთხვევაში და ა.შ.).

პასუხი: ეს ასეც უნდა იყოს, იმიტომ, რომ ჩემი ლექსიკონი წმინდა ორთოგრაფიულ-ორთოეპიურია და უნდა განსხვავდებოდეს ენციკლოპედიურისაგან მისი დანიშნულების გამო. სრულიად უმართებულოა აქ ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის მინიშნება მისი სრულიად განსხვავებული სპეციფიკის გამო. გარდა ამისა, მინდა აღვნიშნო ის მნიშვნელოვანი ფაქტიც, რომ ქსე-ის პერსონალი არ წარმოადგენს ჩემთვის მაგალითს. მიზეზი გამოცემებში დაშვებული შეცდომები და უზუსტობებია. პირიქით, ისინი წმინდა ორთოგრაფიულის მიხედვით უნდა სწორდებოდეს. გარდა ამისა, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების პირველი კრებული, რომელიც 1970 წელს გამოიცა, ხოლო მისი ფოტოტიპური გამოცემა მხოლოდ 1986 წელს, ჩემს ლექსიკონში დასმული საკითხების მოსაგვარებლად ნიმუშს არ წარმოადგენს ისევე და ისევე სპეციფიკისა და გამოცემის ხანდაზმულობის გამო.

3. რაც არსებითაა, განსხვავება ვაშაყიძისებულ „სწორსა და სავალდებულო“ ვარიანტებსა და ტრადიციულ ვარიანტებს შორის შეეხება თვით ძალზე ცნობილ გვარებსაც. აქედან, ზოგიერთს მიწერილი მაინც აქვს ტრადიციული ფორმები. მაგ.: დიკენზი-ი, ტრად. დიკენსი-ი. დარუონი-ი, ტრად. დარვინი-ი. შეიქსპიარი-ი, – მყარი ტრადიცია შექსპირი. ზოგს კი ტრადიციით განმტკიცებული ფორმები საერთოდ არა აქვს მითითებული. მაგ.: ბაიარონი-ი, ბერნზი-ი და სხვ.

პასუხი: დათვლით კი დაუთვლიათ, მაგრამ კარგად არ ან ვერ ნაუკითხავთ. **Byron** – ბაიარონი-ი (აშშ ბაირონი-ი). **Burns** ბერნზი-ი, ტრად. ბერნსი-ი. იშვიათი გამონაკლისის გარდა, თუ ტრადიცია (ლიტ., ისტ., ხალხი., და სხვ.) არსებობს ტერმინებს ყველგან აქვთ მიწერილი. ან კიდეც რომ არ მქონდეს, ეს მაინც ვერ შეუშლიდა ხელს ლექსიკონის დანიშნულებას.

4. ამგვარი უცნაური პრაქტიკა მით უფრო იქცევეს ყურადღებას, რომ შემდგენლის სიტყვებით „განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო იმისათვის, რომ საკუთარი სახელის ტრადიციული ფორმების სწორით შეცვლის (sic1) გატაცებამ სახელს ინფორმაციულობისა და ნომინაციის ფუნქცია არ დაუკარგოს. (იხ. შესავალი, გვ. 24).
პასუხი: ტექსტიდან გამიზნულად და დემაგოგიურად ამოგლეჯილ წინადადებას კეთილსინდისიერად წაკითხვა და გაგება უნდა. მიზანი ამ ქმედებისა ბოროტი განზრახვაა, მიზანი საქმის არმცოდნე მკითხველის მართლაც რომ „დეზორიენტაცია“ და უნდობლობაა. მე ჩემი თვალსაზრისი ჩამოყალიბებული მაქვს მასალის კომპეტენტური ანალიზის შედეგად და მითითებული მაქვს გამოყენებული ლიტერატურა.

5. საერთოდ ამგვარი შინაგანი წინააღმდეგობანი და ეკლექტიზმი დამახასიათებელია აღნიშნული ლექსიკონისათვის – როგორც ავტორისეული ამოსავალი პრინციპის, ისე ბგერათგადმოტანის კერძო წესების თანმიმდევრული გატარების თვალსაზრისით. უგულვებელყოფილია ქართული ენის ფონოლოგიურ-ფონეტიკური თავისებურებანი. განსაკუთრებით ეს ეხება ინგლისური დიფტონგებისა და ტრიფტონგების ქართულად გადმოცემას. აგრეთვე ორმაგი თანხმოვნების, ე.წ. გემინატების გადმოცემას.

პასუხი: იქნებ ბოლომდე ეთქვათ „როგორი ამგვარი“? რატომ „კერძო“? საინტერესოა, რა ეიმედებათ ნეტავ, წიგნის გამოუცემლობა თუ თანამდებობები? ერთნი იყვნენ ენციკლოპედიაში, იგივენი ენათმეცნიერების ინ-ტში, ნორმათა დამდგენ კომისიაშიც და მეცნიერებათა აკადემიაშიც. თვითონ წერდნენ და თავისსავე დაწერილს თვითონვე ხვდებოდნენ ნამკითხავად. (იხ. ცერცვაძის წერილი. გვ. --). სწორედ ეს ეიმედებოდათ, რომ დავალებულს არავინ მოჰკითხავდა და თუ მოჰკითხავდა, „დამაჯერებელი“ სიცრუით თავს გაიტანდნენ. სწორედ ეს შესავალი ნაწილი, შევსებული სხვა საანალიზო მასალით, წარდგენილი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სადისერტაციო თემად რეფერატის სახით, რომელსაც რეცენზია გაუკეთა ქ-ნმა ლ.გამსახურდიამ. იგი საბჭომ დისერტაბელურად სცნო და დაამტკიცა 1984 წლის 16 თებერვალს. იხ. გვ. 46.

6. ლექსიკონი ვერც ორიგინალობას დაიჩემებს, პირთა სახელების ქართულად გადმოღებისას თითქმის უცვლელად იმეორებს წყარო-ლექსიკონის – ა.რიბაკინის ცნობარს (Словарь английских личных имен, М. 1973) სიტყვა სტატიის სტრუქტურასა და დამატებით ინფორმაციებს, განსაკუთრებით ეტიმოლოგიურ ცნობას. განმარტებათა ქართული ვარიანტები კრიტიკას ვერ უძლებს. მაგ.: „დედრი (sic!) საქონელი“ (ფურის ნაცვლად), „შტერი ახალგაზრდა კაცი“ და მისთანანი.

პასუხი: დიას, გამოვიყენე ა.რიბაკინის ცნობარი. ამის შესახებ წინასიტყვაობაში თავად აღვნიშნავ. იგი იმ დროისათვის ქართულისთვის ყველაზე მისაღები იყო სტრუქტურითა და ინფორმაციის მოცულობით. მასში მოცემულია 3 ათასი პირის სახელი, დანარჩენი საიდან შევავსე, ის თუ იციან. ჩემს წიგნში 12000-მდე სტატიაა. იქ თუ ჩაუხედავთ? ამდენ გვარ-სახელს მე ხომ ვერ გამოვიგონებდი?

სად არის აქ დანაშაული? საკითხავია თავად მ.ჭაბაშვილმა სად იპოვნა თავისი „უცხო სიტყვები“?

ახლა რაც შეეხება „დედრს“ და „შტერს“. დასანანია, რომ ერთი ასო „მ“-ც სარეცენზიოდ გამხდარა. ცნობისათვის – **მდედრი საქონელი** კრებითი სიტყვაა. ქართულში მას „ზროხა“ შეესიტყვება. მდედრ ცხვარს – ნერბი ეწოდება, თხას – ნეზვი, ვაცი; ღორს – ქუბი, ცხენს ფაშატი. რას უწუნებენ სიტყვა „შტერს“?

შტერი – სულელი, გონებაჩლუნგი, ყყეყჭი. აქედან – გამტერება, გამოშტერება. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი; ალ.ნეიმანის – სინონიმთა ლექსიკონი. იხ. აგრეთვე მ.ლებანიძის თარგმანი – რ. ბერნსი – „მხიარული მათხოვრები“ (თხზულებანი, ტ. 4. 2010, გვ. 29).

„ბებიჩემმა დედა-ენა მიყიდა ყმანვილს,
მაგრამ სკოლაში აღმზრდელები მიცქერდნენ ცერად,
შტერი ვიყავი, შტერი ვარ და ვიქნები ანიც,
შტერი, თურმე დარჩება **შტერად**“.

რა ვუყოთ პოეტ მ.ლებანიძეს? „საბრალომ“ არ იცოდა ქართული? ისე, კეთილ-სინდისიერი კრიტიკოსი შედარების გაადვილების მიზნით, გვერდებს მაინც მიუთითებდა.

7. **ვ.ვაშაყიძეს აქვს პრეტენზია ნორმატული ხასიათის ლექსიკონის შექმნისა**, მაგრამ ცალკეული კერძო პირი, თუნდაც დიდად ავტორიტეტული არ არის უფლებამოსილი ერთპიროვნულად გადაწყვიტოს უცხოურ საკუთარ სახელთა ქართულად გადმოტანის წესები და მის მიერ შემუშავებული ნორმები თავს მოახვიოს ენის მომხმარებელს, მით უფრო, რომ უკვე ათ წელზე მეტია, რაც ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ბაზაზე მუშაობს საგანგებოდ შექმნილი სატრანსკრიპციო ჯგუფი, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ ენათმეცნიერების ინსტიტუტის წარმომადგენლები. **ჯგუფის მიერ შემუშავებული წესების მიხედვითაა გამართული უცხოური პერსონალის და გეოგრაფიული სახელები და ეს წესები უკვე აისახა კიდევ ენციკლოპედიის გამოქვეყნებულ და გამოსაცემად მომზადებულ ტომებში. მათვე ეყრდნობა რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით ამავე კომისიის მიერ გამოსაცემად ნავარაუდები ლექსიკონები.**

ვიდრე აღნიშნულ წესებს არ დაამტკიცებს ნორმათა დამდგენი მთავრობის კომისია, ცალკე პირის მსგავსი ხასიათის ნაშრომს არ შეიძლება ჰქონდეს ნორმატიულ ლექსიკონად გამოქვეყნების უფლება.

პასუხი: ჩემი ლექსიკონი თავისი „ნორმატულობის პრეტენზიით“ გულზე დამდგარ ლუკმასავით არის გაჩხერილი. ერთ წერილში სამჯერ არის ნახსენები. ზოგჯერ უარყოფაც დადასტურებას ნიშნავს. ეს აბზაცი ადამიანს გაკვირვების უნარს დააკარგვინებს. ეს წერილი დათარიღებულია 1984 წლის 10 აპრილით. ამ წესების „დაუმტკიცებლობაზე მიმითითებდნენ 1982 წლის 2 აპრილის კოლეგიისადმი გამოგზავნილ წერილშიც. ამასობაში ქსე-ის პირველი ტომი

გამოიცა 1975 წ. და 1984 წ. მერვე. ეს ვირტუალური წესები ჯერაც არ დამტკიცებულა? როგორ და რის ბაზაზე მუშაობდა ეს ორი დიდად მნიშვნელოვანი დანესებულება? სად არის დავალებული ლექსიკონები? გასაკვირია რა ხდება! ასეთი გულმოდგინებით, ასე უზნეოდ, ასე ბოროტად, მაგრამ, უნებურად ამხელდნენ თავს. ძნელი დასაჯერებელია – მე უკეთეს ვერც ვინატრებდი. განაცოტა ისტორიასა და თანამედროვეობაში მარტომშრომელი მეცნიერები? ცოტა გვეყავს ასეთი ავტორები. ძალიან ყრუ და ბრმა უნდა იყო, მთელ ამ ტრაგიკომიკურ ისტორიაში ჭეშმარიტი სინამდვილე ვერ დაინახო, შიში დავალების შეუსრულებლობის გამო და შურია ყველაფერი ამის მიზეზი. ძალიან დასანანია, რომ საზოგადოებას, და რა თქმა უნდა, მეც მათ შორის, ეჭვი და უნდობლობა გაუჩნდა ინსტიტუტისა და უპასუხისმგებლო „ავტორიტეტების“ მიმართ. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ მსგავსი არაეთიკური ქცევის გამო, სხვა სიტყვა ვერ მომიძებნია.

ამასობაში ამ ჭორ-მართლის გუნდაობაში კიდევ ერთი წელი გადის. ძალიან გავწვალდი, მაგრამ 1985 წლის 21 იანვარს ისევ მივმართე ბ-ნ დ.ქართველიშვილს. ლოდინში ისევ თვეები გავიდა და 1985 წლის 29 აგვისტოს ბოლოსდაბოლოს, კოლეგებისგან მივიღე ნანატრი წერილის ასლი. იხ. გვ. 59. სჩანს, ადგილი ჰქონდა ერთგვარ გარიგებას: **1. წიგნი უნდა დასათაურდეს „ინგლისურ გვარ-სახელები“ (ონომასტიკური მასალები).** **2. წინასიტყვაობაში საგანგებოდ და ხაზგასმით აღინიშნოს, რომ იგი არ წარმოადგენს ნორმატიულ დოკუმენტს.** **3. წიგნში გათვალისწინებული იყოს ქსე-ში პირთა სახელების ვარიანტები.** როგორც სჩანს, ბ-ნ ა.ჩიქობავას წერილმა (იხ. გვ. 53) თავისი კეთილი და ჭეშმარიტი მისია შეასრულა. გარიგება შედგა. ბრძოლაში და მიწერ-მოწერაში ტყუილად დროის კარგვას და თანხმება სჯობდა.

სახელწოდების შეცვლით, დამცრობილი იყო წიგნის ღირსება. გვარ-სახელების გარდა ნაშრომში შეტანილია 1730 ერთეული გეოგრაფიული სახელი, 232 სტატია „შენიშვნა“, რომელიც შეიცავს დამატებით ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციას და რაც მთავარია, და ძალზე მნიშვნელოვანი, ლექსიკონს კიდევ ახლავს ინგლისურ ონომასტიკაში ძალიან გავრცელებულ მორფემათა და აფიქსთა ლექსიკონიც. „ნორმატიულობის“ შიშით მკითხველი წიგნში რომ ჩაიხედავს, ვერაფერს მიხვდება? გასაოცარია ქსე-ისა და ინ-ტის არაჯანსაღი სწრაფვა მონოპოლიისადმი. ენციკლოპედიაში სად არის უცხო სახელების ვარიანტები? ჩემი მიზანი არასოდეს ყოფილა ქსე-ის კრიტიკა, მაგრამ თამაშ-თამაშ ნაპოვნი მაგალითებიც ცხადყოფს, რომ ამ საკითხების თვალსაზრისით ეს ძალზე მნიშვნელოვანი გამოცემა სრულიად მოუმზადებელი შეხვდა.

8 გამაოგნებელია ბოლო აბზაცი: **„აკად ი.აბაშიძე მართებულად თვლის, აკად. ქ.ლომთათიძე არ არის წინააღმდეგი წიგნის გამოცემისა მოხსენებით ბარათში აღნიშნული პირობების გათვალისწინებით. ხოლო თავს იკავებს ოფიციალური რეცენზიის მიცემაზე“.**

პასუხი: თუ რეცენზიას არც ახლა მომცემდნენ, ან მაშინ რად იყვნენ წინააღმდეგი ან ახლა რად არიან თანახმა? როგორ გავითვალისწინო ეს „შენიშვნები“, თუ რეცენზიას არ მომცემდნენ? რა დავარქვა ამ „შენიშვნებად“ წოდებულ მითითებებს? სამეცნიერო საკითხების განსახილველად შიგ თვალის არ დაუკრავთ. ნუთუ ასე ძნელი იყო რეცენზირება, რედაქციას ხომ არავინ ითხოვდა? სამი კათედრის რეცენზია არაფერს ნიშნავს? სულ ტყუილუბრალოდ დაიკარგა ექვსი წელი კეთილი მონდომების კვალობაზე. ჩემი და მათი სავარაუდო ლექსიკონები ერთმანეთს შეავსებდნენ, რომ არ უარეყოთ წინადადება ერთობლივად გამოცემის შესახებ.

ამ ექვსი წლის განმავლობაში, ჩემი ნაშრომის წყალობით მტრად მოვიკიდე ორი მნიშვნელოვანი დანესებულება, მაგრამ არც თანამოაზრეები და კეთილისმსურველები დამკლებია. ენათმეცნიერების ინსტიტუტს სხვაც ბევრი ჰყავდა უკმაყოფილო. მაგალითისათვის მივმართავ ბატონ პ. გუგუშვილს, აკადემიკოსს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორს. ნაშრომში „სოციოლოგიისა და დემოგრაფიის პრობლემები“, II, (გვ. 129, 131 და 132, 1984 წ. იხ. გვ. 84-86) იგი წერს: „ახლა ორიოდე მოკრძალებული შენიშვნა უნდა გავაკეთო ეკონომიკური ტერმინოლოგიის ასპექტში თვით **„მუდმივი კომისიისა“** და **ენათმეცნიერების ინსტიტუტის მუშაობის შესახებ**. როგორც 1981 წ. აპრილის ბოლო რიცხვებში გაზ. „კომუნისტსა“ და „თბილისში“ გამოქვეყნებული ინფორმაციიდან ჩანს, „მუდმივი კომისიის“ შემადგენლობაშია უმთავრესად ენისა და ლიტერატურის სპეციალისტები. მეცნიერული ცნობიერების განვითარების თანამედროვე ვითარებაში, როდესაც ძალიან ხშირად სიტყვა **იმავედროულად მეცნიერული ტერმინია და შეიძლება კიდევ მეცნიერულ კატეგორიას ასახავდეს, მრავალი სხვადასხვა დარგის მეცნიერებათა ფრიად მრავალი ტერმინის შინაარსი (ცნება) ადვილად შეიძლება ენათმეცნიერისთვის გაუგებარი იყოს** – და მით უფრო მიუღწეველი იქნება ტერმინთა სისტემური უნიფიკაცია და დიფერენციული გაგება, რაც დღეს, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ვითარებაში, აუცილებელი პირობაა, როგორც საერთოდ მეცნიერული აზროვნების, ისე კერძოდ ტერმინოლოგიური მუშაობისათვის“.

„მაგრამ პრაქტიკულად ეს „შეიძლება“ ძალიან შორს მიდის. მაინც, იქამდეც კი, რომ „მუდმივი კომისიაში“ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგია შეაქვს ენათმეცნიერების ინსტიტუტს“.

„მაგრამ უალრესად **გაუგებარია ენათმეცნიერების ინსტიტუტის პოზიციაც. როგორ მოხდა, რომ ენათმეცნიერების ინსტიტუტი ადგენს ეკონომიკური ტერმინოლოგიის პროექტს იმ ქვეყანაში, სადაც ეკონომიკური მეცნიერება სამი დიდი და კიდევ რამდენიმე სპეციალური ინსტიტუტი და საკვლევადიებო ცენტრი, უნივერსიტეტსა და სხვა სასწავლო ინსტიტუტებში კიდევ ექვსი ეკონომიკური ფაკულტეტი და ათეულობით კათედრა არსებობს და საერთოდ ეკონომიკური მეცნიერების ლექტორებისა და კანდიდატების რიცხვი 5-6-ჯერ მეტია ვიდრე ენათმეცნიერებისა“.**

„ახლა ისევ „მუდმივი კომისიის“ საკითხს უნდა დავუბრუნდე. სიმართლე უნდა ითქვას, რომ მეცნიერული ტერმინოლოგიის დარგშიც რაიმე რესპუბლიკური მასშტაბის მომწესრიგებელი, მაკოორდინებელი ხასიათის მქონე ორგანიზაციის არ-

სებობა, რა თქმა უნდა, საჭიროა, მაგრამ ასეთი კომისია (კომიტეტი, საბჭო) ჩვენი აზრით შეიძლება უმჯობესი იყოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, მას უნდა ჰქონდეს დარგობრივი სექციები – ცოდნის შესაბამისი დარგის გამოჩენილი სპეციალისტებისგან, განსაკუთრებით კი ტერმინოლოგთაგან შემდგარი, ხოლო სადავო ტერმინთა საკითხი უნდა განიხილებოდეს კომისიის საერთო სხდომაზე, შესაბამისი დარგის ინსტიტუტის მიერ წარდგენილი მასალის საფუძველზე“, იხ. გვ. ----. ხომ საინტერესო ინფორმაცია!

გეგმიდან ამოვარდნილ წიგნს ლოდინი დასჭირდა. 1988 წლის 4 აპრილს წიგნი წავიდა სტამბაში. სამართალმა ასე თუ ისე პური ქამა. მაგრამ, ძალიან უიღბლო გამოდგა ჩემი წიგნიცა და ჩემი ნაადრევი სიხარულიც. პოლიგრაფიული ტექნიკის არასრულყოფილებისა და წიგნის სტამბური სირთულის გამო დაიკარგა კიდევ წელიწადნახევარი. გამომეცმლობა „განათლება“ და მთარგმნელთა კოლეგია შეთანხმდნენ, წიგნი ხელნაწერში გამოსულიყო. 750 გვერდიანი წიგნის სტამბური წესით გადაწერას ლამის 2 წელი მოვანდომე. 1992 წელს წიგნი გამოსაცემად მზად იყო. ამასობაში გამოიცა „ნანატრი“ „უცხოურ პირთა სახელების, საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების“ ორთოგრაფიული ლექსიკონები. სახელწოდებები მაპროვოცირებელია. ვიდრე მკითხველი წიგნებს გადაშლის, გაუჩნდება კითხვა, რა უცხოური ლექსიკონია და ისიც ორთოგრაფიული? აღმოჩნდება, რომ უცხოელ პირთა სახელების ლექსიკონი ყოფილა თურმე. მაგრამ ორთოგრაფიული როგორ არის, თუ უმოკლესი დეფინიციის გარდა ტერმინ-სტატიას სხვა არანაირი ინფორმაცია არ ახლავს. მაგრამ, გამოდის, ის არც ორთოგრაფიულია და არც ბიოგრაფიული. სიტყვარი შევსებულია ქსე-ისა და დიდი საბჭოთა ენციკლოპედიების სიტყვარებით. რალა საჭირო იყო ათი წლისა და უამრავი ფინანსების ხარჯვა. საჭიროების შემთხვევაში მკითხველი იგივე ინფორმაციას ქსე-ის ტომებსა და რუსულ ენციკლოპედიებში ძალიან ადვილად ნახავს. რაც შეეხება ყბადალებულ წესებს, კრიტიკას ვერ უძლებს. ის სასკოლო სახელმძღვანელოს დონეზეა. ამის შემონება სტუდენტსაც კი შეუძლია. არა თუ უსაზღვრო შურის, პატივმოყვარეობის, ერთგვარი შიშისა და სხვა საძრახისი თვისებების გამო დაიკარგა ათი წელი და საზოგადოებამ მიიღო ის, რაც მიიღო – ნაცარი და აბუჩად აგდება. ჩემი ღრმა რწმენით, ეს ბოროტმოქმედება და დანაშაულია.

ახლა ჩემს წიგნსაც მივხედოთ. 90-იანი წლები უმძიმესი იყო ქვეყნის ისტორიაში. ამ დროის ერთი წელი სხვა დროის რამდენიმე წელს უდრიდა. წიგნისთვის ვილას ეცალა. ენციკლოპედისტების „რჩეულმა“ წიგნებმა თაროებზე დაიმკვიდრეს ადგილი. ჩემი კი ისევ შეჩერდა.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე ცუდმოიმედე მეთვალყურედ არ დავრჩენილვარ. ძლიერმა პოლიტიკურმა და სახელმწიფოებრივმა ძვრებმა ის სიკეთე მაინც მოიტანა, რომ ავტორი განთავისუფლდა ყოველგვარი ზენოლისაგან. მე უკვე თავისუფლად შემეძლო წიგნში ჩემი თვალსაზრისის გატარება. 2000 წლიდან მოყოლებული ჩემი საგულდაგულოდ ნაკონინები ფულით ქსეროქსით, ისევ ხელნაწერში 2004 წელს გამოვეცი სულ 20 ცალი. შევეცადე დამეცვა ადამიანური და მეცნიერული ეთიკა და ნაშრომი წარვადგინე საზოგადოების წინაშე იმ სახით და იმ სახელწოდებით, როგორც მოითხოვდა საქ სსრ მინისტრთა საბჭოს დასკვნითი წერილი. იმის შიშით, რომ მე შეიძლება მოვმკვდარიყავი (იმ ხანად მე ძალიან მძიმედ ავად გახლ-

დით) და ნაშრომი შეიძლება დაკარგულიყო, ისინი აკადემიის, საჯაროსა და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებსა და შესაბამის კათედრებს გადავეცი. მაგრამ ღვთის მადლით ცოცხალი გადავრჩი. ვერ მოვისვენე და გადავწყვიტე 2005 წ. ისევ ისე, 20 ცალი გამომეცა, ოღონდ უკვე იმ ვარიანტით, როგორც მე მიმაჩნდა სწორად გადავწყვიტე ნაშრომი ისევ ქსეროქსით, აღდგენილი სახელწოდებით „ინგლისური საკუთარი სახელები“. ამჯერად, მე, როგორც ავტორმა უკვე თავისუფლად გავატარე ყველა ის შეხედულება და თვალსაზრისი, რომელიც ჯერ კიდევ 1980 წელს მქონდა. ისინიც ბიბლიოთეკებში დავაბინავე, დავასაჩუქრე ჩემი შვილიშვილები, თანამებრძოლები და თანამოაზრეები, მოვისვენე და დავმშვიდდი იმ იმედით, რომ როცა იქნებოდა ნაშრომი თავს იჩენდა.

უკვე 2004 წელს ჩემთვის ცნობილი გახდა ფაქტი, რომელიც ეხმიანებოდა ჩემს პრობლემას. გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ №12, 2004 წ.) იხ. გვ. 87-88. სტატიამი ვკითხულობთ: „სახელმწიფო ენის მუდმივმოქმედი სახელმწიფო კომისია“ (სემსკა) შეიქმნა ინტენსიურად ფუნქციონირებისათვის“. „ავად თუ კარგად აქამდე არსებული სემსკა, როგორც „მუდმივმოქმედი“ სამწუხაროდ ამჟამად არ ფუნქციონირებს. დადგა დრო ენის ისედაც შელახული პოზიცია უფრო არ დავამძიმოთ. „ცხადია, უნდა შეიცვალოს სემსკის დებულება და შემადგენლობა, რომელიც პრეზიდენტმა უნდა დაამტკიცოს. დებულებაში ალბათ დასაზუსტებელია ერთ-ერთი ზემოთმოტანილი მიზნის მისაღწევი ეტაპი, რაც ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა პროექტის დასამტკიცებლად წარდგენას ეხება. **კერძოდ, შესაცვლელი ჩანს პუნქტი „კომისიის საბაზო სამეცნიერო დაწესებულების, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა.ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ შემუშავებული ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა პროექტების დამტკიცება.** ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების შემუშავება, საინსტიტუტო თემატიკის მიხედვით, არ ევალეება ისედაც მცირერიცხოვან ენათმეცნიერების ინსტიტუტს, რომელიც ამ პუნქტით მონოპოლიურ მდგომარეობაშია. ქართული ენის პრობლემებთან დაკავშირებით იგნორირებულია ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალიზებული კათედრების, პრობლემური ლაბორატორიების, ფილოლოგიისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ლექსიკოგრაფიული ცენტრების, ასევე სხვა უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების ანალოგიური სამეცნიერო ქვედანაყოფილების ძალისხმევა. ზემოხსენებული და სხვ. დადგენილებით ენათმეცნიერების ინსტიტუტი ითვლება ყოველგვარი ლექსიკონის ნორმატულობის განმსაზღვრელ დაწესებულებად (იხ. ყოფილი პრეზიდენტის №625 ბრძანებულება, 8 ოქტომბერი, 1998 წ.). ამგვარ ენობრივ მონოპოლიასთან დაკავშირებით ერთი ცნობილი კურიოზის შესახებ ბატონი არნოლდ ჩიქობავა წერდა: „ყოველგვარ ლექსიკონთა შეფასებას ინსტიტუტი ვერ იკისრებს. ეს მონოპოლია იქნებოდა. მეცნიერებაში მონოპოლიას სიკეთე არასოდეს მოუტანია, ქალბატონ ვიოლა ვაშაკიძის „ინგლისურ გვარ-სახელთა ლექსიკონის“ განხილვის უცნაური ისტორიაც ამას ადასტურებს. ვინაიდან ინსტიტუტს საამისო სპეციალისტები არ ჰყავს და არც ინგლისურ გვარ-სახელთა გადმოცე-

მაზე უმუშავიათ“ (წერილი ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი კომისიის თავმჯდომარეს ამხანაგ დ.ქართველიშვილს, ა.ჩიქობავა, 2 იანვარი, 1984 წ.). აქვე შევნიშნავთ, რომ ეს შესანიშნავი ნაშრომი, რომლის რედაქტორია პროფესორი ნიკოლოზ ყიასაშვილი, მხოლოდ წელს ეღივსა გამოცემას“. ბატონი კ.გამსახურდია წერდა: „მშობლიური ენის სინმინდისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოსა“. ენის სინმინდის დაცვა ენის ნორმების დადგენის გარეშე შეუძლებელია, მაგრამ ენობრივი პროექტის შეთავაზება მართო ენათმეცნიერების ვალი არ არის. მხოლოდ და მხოლოდ ენათმეცნიერი დამოუკიდებლად ვერასდროს ვერ შექმნის თანამედროვე დარგების ლექსიკონებს და მაშასადამე, ტერმინებს და სხვ. ერთი რამ ცხადია, არ უნდა დაიკარგოს დრო სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის შესაქმნელად.“

რევაზ ბერულავა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა ლექსიკოგრაფიული ცენტრის ხელმძღვანელი, აკადემიკოსი. იხ. გვ. 88-89.

დღეს, როცა ამ წერილს ვწერ, 2016 წლის ივლისია. ხსენებული კომისია ჯერაც არ შექმნილა და „ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მეორე კრებულის გამოჩენასაც პირი არ უჩანს.

მაგრამ, ჰოი საოცრებავ, ბედმა ისევ შემახვედრა ენათმეცნიერების ინსტიტუტს. 2004 წელს გამოიცა „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ XII წიგნი, რომელშიც დაბეჭდილია ლ.ლეჟავას სტატია: „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორიიდან“. ვკითხულობთ: გვ. 53-54.

„ქსე-ის რედაქციაში სატრანსკრიფციო ჯგუფისა და სხვადასხვა უცხო ენის, აგრეთვე სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ერთობლივი ძალისხმევით შემუშავდა უცხოურ საკუთარ სახელთა ქართულად გადმოტანის წესები, რომელთა პირველი პროექტი დამტკიცდა 1975 წ. მარტში, მოგვიანებით (1987) კომისიამ დაამტკიცა აგრეთვე ჯერ „საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული სახელების“, შემდგომ კი (1996) „უცხოურ პირთა და გეოგრაფიული სახელების ქართულად გადმოტანის წესები“ რომლებიც შევა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მეორე კრებულში (sic!)

ენათმეცნიერების ინ-ტისა და ქსე-ის თანამშრომლობის შედეგად და კომისიის დიდი ხელშეწყობით, წლების მანძილზე მომზადდა და 1980-იან წლებში გამოიცა ხუთი ორთოგრაფიული ლექსიკონი:

1. ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი (1985).
2. საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი (1987).
3. საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი (1987).
4. საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი (1989).
5. უცხოურ პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი (1989).

ჩემო მკითხველო, მოთმინებას გთხოვთ და გააგრძელეთ კითხვა. გვ. 68
1996 წლის 5 ივლისს სხდომამ განიხილა, მოიწონა და დაამტკიცა: (sic!)

1. ვ.თოფურიას და ივ.გიგინეიშვილის მიერ შედგენილი „ქართული იენის ორთოგრაფიული ლექსიკონის აგების პრინციპები ახალი, შევსებული გამოცემის მიხედვით“; (sic! უკანა რიცხვით?)
2. **უცხოურ პირთა სახელ-გვარებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ქართულად გადმოცემის წესები ივ.გიგინეიშვილის, ალ.კობახიძისა და მ.ჭაბაშვილის პროექტის მიხედვით (ორივე საკითხი წარმოადგინა არნ.ჩიქო-ბავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების გამგემ, ხელმძღვანელმა, დოც. შ.აფრიდონიძემ)**. sic! გთხოვთ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ წლებს.

1975-1987 წლებში გამოიცა ქსე-ის თერთმეტი ტომი და ხუთი ორთოგრაფიული ლექსიკონი. მართალია დაგვიანებით, მაგრამ, მაინც შეუსრულებიათ გეგმა, უმუშავიათ მაგრამ „უნესოდ“ და „უპრინციპოდ“. ახლა, როცა ამ წერილს ვწერ, 2016 წლის ივლისია. აღარც ნორმათა დამდგენი კომისია არსებობს და „ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ ხსენებული მეორე კრებული ჯერაც არ გამოცემულა. რას მერჩოდნენ?! რა სახელი შეიძლება დაერქვას ამ ყველაფერს?! გულისამრევი საზიზღრობაა და დანაშაული, უზნეობის გვირგვინი. დაიკარგა 35 წელი (ერთი თაობა) და საზოგადოებამ მიიღო სამარცხვინო „ფსევდო მეცნიერული“, თვალში ნაცარი. აფერუმ ცოცხლად დარჩენილებს. უსინდისოდ ტყუოდნენ „ინსტიტუტ-შიც“ და „ენციკლოპედიაშიც“. დაიკარგა ნდობა „ავორიტეტებად“ წოდებული მეცნიერებისადმი. 35 წლის პერიოდში, სსრკ დაინგრა, საქართველომ სამოქალაქო და სამამულო ომები გადაიტანა, შეიცვალა სახელმწიფოებრივი წყობა, შესაბამისად სოციალური ყოფაც. მხოლოდ ენათმეცნიერების მიერ საუკუნის წინ დადგენილი ნორმებია ურყევი.

ჩემო მკითხველო, თუ ჩემი აღსარების შემდეგ კიდევ დაგრჩათ მოთმინება და სურვილი ამ მნიშვნელოვან საკითხში ჩაღრმავებისა, ყველაზე ადვილი ჩემი და მათი „შედევრების“ შედარება იქნება. ბიბლიოთეკებში ისინი თაროებზე „ბრძანდებიან“. რაც შეეხება მთელი ამ დავიდარაბის სამეცნიერო ნაწილს, სურვილის შემთხვევაში ერთი გვერდის გადაფურცვლა დაგჭირდებათ (იხ. მეორე ნაწილი). უსაზღვრო მადლიერებას გამოვთქვამ მოთმინების გამო. ვიმედოვნებ, რომ ოდესმე სიმართლე იყვირებს.

ვიოლა ვაშაკიძე
 2016 წლის ივლისი

ნაწილი II

ქალბატონებო და ბატონებო

უმორჩილესად გთხოვთ, გულისყური მიაპყროთ შემდეგს: პრობლემას წარმოადგენს ჩემს ნაშრომში აღძრული საკითხები, რომლებიც ეხება ქართულ ენაში ნებისმიერი სახის უცხოენოვანი ლექსიკის სწორად გადმოტანა-დამკვიდრებას. დღეს, როცა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ ისე შეცვალა ცხოვრება, რომ ქვეყნებს შორის ურთიერთობას მხოლოდ წუთები სჭირდება, როცა ნახევარი საქართველო გასულია უცხო ქვეყნებში სასწავლებლად და სამუშაოდ, შეიქმნა მეტად ხელსაყრელი პირობები უცხო სამყაროში უშუალო ურთიერთობისა, შესაბამისად, უშუალო სიტყვათსესხებისა. დადგა დრო ღირებულებათა გადაფასებისა არამართო უცხოდან აქეთ, მშობლიურ გარემოში სიტყვათა სწორად გადმოტანისა, ასევე ქართულის უცხო გარემოში გატანისაც. აქ მახსენდება „ლიტერატურული საქართველოს“ 1984 წლის 7 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული ბ-ნ ნ.კაკაბაძის სტატია „ზედაპირული შთაბეჭდილებებით“. „რა გუნებაზე დადგებოდა ბ-ნი ჰაგელშტანგე, რომელიმე უცხოელ, არაგერმანელ მწერალს გოეთეს ნაცვლად თავის შთაბეჭდილებათა ნიგნში გოთვე რომ დაენერა? არადა, ჩვენი ილია ჭავჭავაძე რუდოლფ ჰაგელშტანგეს ნიგნში, ქართული ენის მოძღვრად, ცარიზმის მსხვერპლად „შავკვლავაძედ“ გვევლინება. ანდა: რას იტყოდა ჰაგელშტანგე, რომელიმე ქართველს გერმანიაში მოგზაურობისას ბონის მაგიერ, ვთქვათ ონი რომ დაენერა მოგონებებში? ჰაგელშტანგე ქუთაისის ნაცვლად ყველგან წერს „გუტაის“-ს. ჰაგელშტანგეს ჰგონია, რომ გვართა უმეტესობა მთავრდება „ვილით“ ანდა „აძე-თი“. დღევანდელობას ხომ ეხმიანება ეს ტკივილიანი სტატია? მსგავსი შეცდომებით გაჯერებულია ქართული ჟურნალ-გაზეთები, რადიო-ტელევიზია და სხვადასხვაგვარი ურთიერთობები. ძალიან სანყენია და სანყენია იმიტომ, რომ ამ საკითხის მოგვარებას მილიონები არ სჭირდება. საჭიროა ენების მცოდნის კეთილგანწყობილი და გონივრული დამოკიდებულება.

ასევე არ შემოიძლია არ გავიხსენო გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“, 1982 წლის მარტში გამოქვეყნებული ჟურნალისტ პ.ნაცვლიშვილის ვრცელი წერილი „ყოჩაღ ნიკოლოზ“, რომელშიც ავტორი საქმიანი და შესაშური გულწრფელობით მსჯელობს ამ საკითხზე. ქართულ რეალობაში დამკვიდრებულ, მაგრამ მოძველებულ შეხედულებებზე, რომლებიც შეცვლას საჭიროებენ. ასევე მნიშვნელოვანი იყო მთარგმნელ ქ-ნ ინგა პაპავას წერილი „გეორგ, თუ ჯორჯ“, რომელიც აღმანახ „საუნჯეში“ დაიბეჭდა 1981 წლის მაისში. ორივე სტატიაში ყველა ის საკითხი, მეცნიერულიც და პრაქტიკულიც, რომელიც აწუხებდა ქართველ საზოგადოებრიობას, განხილული იყო ცხოვრების ყველა სფეროში მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით და რაც მთავარია მეცნიერული ანალიზით.

პასუხად მივიღეთ: ენათმეცნიერების ინსტიტუტის (ინ-ტის) თანამშრომლების 1. ვიოლა კალანდაძისა და შუქია აფრიდონიძის ვრცელი სტატია „საკუთარ სახელთა ტრანსკრიფციისა და ადაპტაციისათვის“ („ლიტერატურული საქართველო“, 1982 წ. 7 ოქტომბერი), 2. ბ-ნ მ.ჭაბაშვილის სტატია „სწორად გადმოგვაქვს თუ არა არა-

ქართველ პიროვნებათა სახელები ქართულად?“ და 3. ბ-ნ ზ.ჭუმბურიძის სტატია „ნუ დავაგდებთ ძველსა გზასა!“. მოლოდინი გაგვიცრუვდა. სტატიები სავსე იყო შეგონებებითა და თავის მართლებით, ასევე ძალიან შორს იყო საქმიანი განსჯისაგან. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს თანამედროვე ქართველმა საზოგადოებამ წერა-კითხვა არ იცოდეს და ჭურში იჯდეს. ის რაც ვერ შეძლო მე-19-ე საუკუნეში ცარიზმის პოლიტიკამ, მე-20 საუკუნეში მლიქვნელურმა მამებლობამ იმარჯვა. ვერაფრით ვერ დავაღნიეთ თავი რუსულ გავლენას. არადა, გზის გასაყარზე ვართ. გავთავისუფლდით, მაგრამ, როგორც სჩანს, მენტალიტეტი იგივე დავგრჩა. სჩანს, დაგვაინწყდა, რომ ენა ისტორიული კატეგორიაა და არა აბსოლუტური, რომ იგი გამუდმებით განიცდის ცვლილებას. ქართველი პატრონია იმ უდიადესი ენისა, რომელშიც ყოველ ბგერას თავისი ფარდი ასო აქვს; ქართველის საწარმოთქმო აპარატიც ისეა მოწყობილი, რომ ნებისმიერი უცხო ბგერის სწორად წარმოთქმა შეუძლია. არის საზოგადოებაში მოთხოვნილება, რომ ქართული ორთოგრაფია-ორთოეპია გრამტიკის ცალკე დარგად ჩამოყალიბდეს.

დღევანდელ ქართველ ახალგაზრდას ვერაფრით ვერ გაუგია, რატომ უნდა იყოს **Пётр Чайковский** – პეტრე ჩაიკოვსკი, ან ქ. ვლადიმირი, მაგრამ ვლადიმერ ლენინი. ვის და რატომ ვუმტკიცებთ სიყვარულსა და ერთგულებას? ან **Хечинашвили Симон Николаевич** – რუსებსაც უყვარვართ.

„ენათმეცნიერება იმ მეცნიერებათა წყებას განეკუთვნება, რომლებიც საზოგადოების განვითარებასთან ერთად პერმანენტულ განახლებას საჭიროებენ. ამიტომაც ჭეშმარიტებისკენ მიმავალი გზების მოკვლევა ზოგჯერ უფრო ღირებული შეიქმნება ხოლმე აზრის გაღვიძების თვალსაზრისით, ვინემ რისამე გამოცხადება ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ ჭეშმარიტებად“ (ბ.ჯორბენაძე). „ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებას საფუძვლად დაედო ი.ჭავჭავაძის მიერ შემუშავებული ენობრივი პროგრამა: ენა ვითარდება და განვითარების ყოველ ეტაპზე, საზოგადოებამ უნდა გაითვალისწინოს და დაწერგოს ყოველგვარი სიახლე, რომელიც შემდგომ დახვეწას და სრულყოფას განაპირობებს“ (ბ.ჯორბენაძე).

„ხშირად იქნება, რომ კანონები, ერთ დროს საჭირონი, სხვა დროს უვარგისნი არიან ხოლმე, ამიტომაც ახალი ენა ძველ ენას არა ჰგავს“ (ილია). „ახალი ქართული ენის დამკვიდრება ი.ჭავჭავაძემ იმით დაიწყო, რომ ხმარებიდან ამოიღო ახალი ქართული ენისათვის ზედმეტი ასოები, თუმცა ისინი მაშინაც და დღესაც ცოცხლობენ დიალექტებში. ილია გრძნობდა, რომ ენას აქვს შესაძლებლობა კონტექტსტით გაარჩიოს ომონიმები და ამას ენის ფონემატური სტრუქტურებიდან ამოვარდნილი უფონემის უკუსაგდებად იყენებდა. ხელი და ველი ახალ ქართულში კონტექსტმა უნდა განასხვავოს, რაც ზედმეტს ხდის უ ასოს აღდგენას.“ (ბ.ჯორბენაძე). ფაქტობრივად ენის გამარტივების ნაცვლად ენის გართულება-დამძიმებას ვიღებთ. „ილიას წმინდა ენათმეცნიერული გამოკვლევები არა აქვს. ენის საკითხებს იგი სხვა საკითხებთან კავშირში ეხებოდა“ (ბ.ჯორბენაძე). „ილიას, რა თქმა უნდა, არც ერთი ახალი გრამატიკული კატეგორია, არც ერთი ფონეტიკურ-მორფოლოგიური, თუ სინტაქსური კანონი არ შეუქმნია და ენისთვის ძალად თავს არ მოუხვევია“ (ა.ლლონტი, „მნათობი“, 1987 წ. №2). „მაგრამ, XIX ს. სამოციან წლებში აღებულმა გეზმა კეთილი ნაყოფი გამოიღო. ცოცხალი ქართული მეტყველების საწყისებისკენ მიბრუნებამ და

იმავდროულად ევროპეიზაციის ტენდენციამ განსაზღვრა ახალი სალიტერატურო ქართული ენის ჩამოყალიბების და სრულყოფის პრინციპები“ (ბ.ჯორბენაძე).

„ენის საკითხებზე ბევრი უნერიათ ა.შანიძეს, არნ.ჩიქობავას, ვ.თოფურიას, ი.ქავთარაძეს, ჯ.ჭუმბურიძეს, შ.ძიდიგურს, ზ.ჭუმბურიძეს, გ.შალამბერიძეს და სხვათ. მაგრამ მინდა გაუწყოთ შემდეგი: ეს ამონარიდები გამიზნულად და შერჩევით მოვიტანე ბ-ე ბ.ჯორბენაძის წიგნიდან „ბალავარი მწერლობისა“ (1987 წ.). ამით მინდა ხაზი გავუსვა ავტორის ორმაგ სტანდარტს. იგი იმ კომისიის წევრი იყო, რომელმაც ჩემი ნაშრომი „შეაფასა“ (1984 წ. 10 აპრილი). იხ. ენათმეცნიერების ინტის წერილი, გვ. 53-54.

კარგა ხანია გამოიცა „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ ტომები (1975-1987), „ენციკლოპედიისა“ და ენათმეცნიერების ინტის ერთობლივად გამოცემული ორთოგრაფიული ლექსიკონები (1987-1989), თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების (1936 გამოცემის ბაზაზე 1970 წელს გამოცემული და შემდეგ 1986 წელს ფოტოტიპური ასლი) პირველი კრებული, რომელშიც ვკითხულობთ: ა.შანიძის – la და lu, გ.ახვლედიანის – ე) და უმახვილო o-ს შემცველი რუსულ სიტყვათა, ს.ჯანაშიას გერმანული ei დიფტონგის, გ.ახვლედიანის – გერმ.-ფრანგ. ä, ö, ü) და ინგლ. a, u-ს გადმოცემა. ა.შანიძის io-ს შემცველ რუსულ და რუსულის გზით შემოსულ სიტყვათა, ს.ყაუხჩიშვილის ბერნდ-ლათ. მომდინარე cs, ps, ct გადმოტანა ქართულში და სხვა პროექტებს. საკითხით დაინტერესებულ მკითხველს ვთხოვ სტატიების დიდი მოცულობის გამო თავად გაეცნოს მასალას. ძალიან დასანანი, რომ ლამის საუკუნის წინ მიღებული ნორმები დღესაც ძალაშია. ცხოვრება თავის გზით მიდის, მეცნიერები კი მეთვალყურეობენ.

დღეს, როცა ამ წერილს ვწერ, 2016 წლის ივლისია. 1996 წელს დაპირებული „ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ მეორე კრებული ჯერაც არ ჩანს.

დავუბრუნდეთ ჩემს ნაშრომში ნამოჭრილ საკითხებს:

იმისათვის, რომ დავზოგო მკითხველის დრო და მოთმინება, გავითვალისწინე საზოგადოების ინტერესისა და ენის ცოდნის სხვადასხვა დონე და ხარისხი. მსჯელობის დროს საილუსტრაციოდ ავირჩიე ყველასათვის ხელმისაწვდომი და სანდოდ მიჩნეული გამოცემები: „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“ (11 ტომი), მ.ჭაბაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ და „უცხოურ პირთა სახელების, საქართველოს სსრ, საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონები“.

საკითხი ძირითადად განეკუთვნება უცხო საკუთარი სახელების ორთოგრაფიკულ ორთოეპიას, რომელიც ბევრ შენაკადს შეიცავს. ყველა საკითხის გადწყვეტაში უმთავრესია ერთის მხრივ საკუთარი სახელის თეორიისა და მეორეს მხრივ ფონეტიკური და მორფოლოგიური პროცესების შესწავლა, როგორც მსესხებელ (მიმღებ), ისე წყარო ენაში. ყველა სახის ნასესხები ლექსიკის სწორად დამკვიდრების უპირველესი პირობაა ორივე ენის ჯერ ბგერათა სისტემის, ხოლო შემდეგ ასოთა და ასოთშეთანხმების ტოლფარდობის დადგენა დროის ერთ მონაკვეთში და არა ისე, როგორც წინა საუკუნეში გაკეთდა. 1936 წ. გერმ. Ei დიფტონგისა, ხოლო 1984 წელს ch ასოთშეთანხმების შესატყვისის დადგენა. თუ წმინდა ორთოგრაფიის დამკვიდრება იქნება ცდის მიზანი, მაშინ უნდა უკუვაგდოთ ტრადიცია (რა მყარიც

უნდა იყოს იგი), რადგან მცდარიცა და სწორიც უზუსის შედეგადაა ჩამოყალიბებული. მისი შეცვლა და სწორის დამკვიდრება უკვე ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიურ სფეროში იქნება საძიებელი. მიუხედავად ამისა, „ნორმებსა“ და ორთოგრაფიულ ლექსიკონებში ვკითხულობთ, რომ ყველა ამ ასოთშეთანხმებათა წერა-კითხვის წესები „განმტკიცებულია ტრადიციის მიხედვით და დავას აღარ ინვევს“, და თუ ინვევს, მაშინ? პასუხი: დუმილი, შეგონება, ან შერისხვა. ვერანაირი უზუსტესი სატრანსკრიპციო ანბანი ვერ ასახავს გრაფიკულად გამოთქმულ სიტყვას. ეს მხოლოდ მოსმენითაა შესაძლებელი. ერთი და იგივე სუბიექტი ყოფით სინამდვილეში სხვადასხვა დროს სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვაგვარად გამოთქვამს ერთსა და იმავე ბგერას. ამ მდგომარეობას თუ უცხო ენის მიმართაც ვიგულისხმებთ, ადვილი წარმოსადგენია ბგერათა რა ნაირფეროვნებასთან გვექნება საქმე. აქედან დასკვნა: ორთოეპია – სუბიექტურია და ინდივიდუალური. იგი დამოკიდებულია ორთოგრაფიაზე, რომელიც თავისი ბუნებით კონსერვატიულია. ჩვენი ქართულია ამ მხრივ ბედნიერი გამოწვევისი. სხვა ენებისთვის ეს დიდი პრობლემაა. მიუხედავად ამ სირთულისა, კვლევამ უმარტივეს ჭეშმარიტებამდე მიიყვანა. თუ იქნება დადგენილი სუბიექტივიზმისაგან დაცული, ტრადიციის ზენოლისაგან თავისფული ორი ენის ბგერათა სისტემების შეჯერებით მიღებული შესატყვისები, ყველაფერი თავის ადგილზე დგება. გამარტივდება წესები და აღრევას აღარ ექნება ადგილი.

გარდა ამისა, საჭიროა ზუსტად გაიმიჯნოს მნიშვნელობები: სიტყვებისა ძირეული, უცხოური და უცხო. ძირეულია ყველაფერი მშობლიური. უცხოურია – სხვა ენებიდან შემოტანილ-ნასესხები, მაგრამ მშობლიურ გარემოში ადაპტირებულ-გაქართულებული, ხოლო უცხო – არამშობლიური, სხვა გარემოში მყოფი. შეადარეთ საკუთარი სახელები მზია, ცისანა, ციური, მთვარისა – საკუთრივ ქართულია, ქეთევან, დავით, მარიამ, გიორგი – უცხოური, მაგრამ გაქართულებული და უცხოა – რიჩარდ, უილიამ, დევიდ, ჯორჯ. ახლა შევადაროთ საკუთარი სახელები ქართული – წინამძღვრიანთკარი (17 ასო). მოსემღვდლიშვილი (15), ბებია (5), როგავა (6), ინგლისური – Teatherstonehaugh (17), gibb (4), gib (3), ტიეტიავიანენი-ი ფინ. მეცნ. (13), ლიაოიუანი-ი ქ.ჩინეთში (8), უ ჩენენი – ჩინ. მწ. (6). აქ ჩამოთვლილი საკ. სახელებს მიუმატეთ, გამოაკლეთ ან შეუტყვალეთ რომელიმე ასო, ისინი ხომ დაკარგავენ საკ. სახელებისათვის დამახასიათებელ სოციალურ სანქციას. ამის უფლება კი (განსაკუთრებით ანთროპონიმების შემთხვევაში) მხოლოდ სასამართლოს აქვს. გაიხსენეთ ჩემს მიერ ხსენებული „შაკვკლავაძე“-ც.

ამიტომ, ჩემი ღრმა რწმენით, რომელსაც მიმყარებს 12000 გვარ-სახელთა მეცნიერული ანალიზი, სრულიად დაუშვებელია ქართული ენის წესების მორგება უცხო საკ. სახელებზე და ასე ხელალებით „გაშინაურება“. ეს ყველაფერთან ერთად ზოგადად ერის კულტურის დონის მაჩვენებელია. წარმოიდგინეთ ჩვენ ვაქართულებთ რუს. საკ. სახელებს, რუსს შეიძლება შეუფერებელი ასოციაციები შეექმნას უწყინარ რაჭულ გვარებზე, ბლიაძე, ნასრაძე, ებანოიძე, Блиадзе, Эбаноидзе, Иасрадზე -ს ნაცვლად დაწეროს Блядზე, Насрадზე, Ебаноидზე, Ёбидზე - მოგვეწონება? ასეთი გრძნობა გაუჩნდებათ სხვა უცხოელებსაც ჩვენს მიმართ:

მართებული და ნორმით დადგენილ საკუთარ სახელებს შორის სხვაობის წარმოსაჩენად მოვიხმობ მაგალითებს, რომლებიც საგულდაგულოდ არ მიძებნია. გთა-

ვაზობთ მხოლოდ ჩემს თვალსაზრისს, რომელიც მრავალწლიანი შრომის შედეგს წარმოადგენს. ერთიც არის, უნდა შევთანხმდეთ, რომ ორთოგრაფია მართლწერას და ორთოეპია მართლმეტყველებას ნიშნავს და არა მცდარი ტრადიციის ჯიუტად და გაუმართლებლად დამკვიდრებას.

- 1. ასოთშეთანხმებები:** კს, პს, კტ, ნორმით ქს, ფს, ქტ. იხილეთ ბ-ნ ს.ყაუხჩიშვილის სტატიაში დადგენილი ნორმები „ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე სიტყვათა დაწერილობა ქართულში“. აქვე მინდა შეგახსენოთ უცხო სახელთა შორის ადამიანთა საკუთარი სახელების (ანთროპონიმების) ავტონომიურობაში გამოხატული სოციალური სანქცია, რომელიც ორივე ენის (წყარო და მიმღები) ბგერათა და ასოთა შესატყვისებში ვლინდება.

- მაგ.: 1. Dick [dik] -კ.სახ. დიკ-ი, Dicks [diks] გვ. დიკს-ი
 Dickson – გვ. დიკსონ-ი **cks** – კს
 2. Dix [diks] კ. სახ. დიქს-ი Dixon ['diksɒn] – გვ. დიქსონ-ი
 Dixson ['diksɒn] გვ. დიქსონ-ი **x** – ქს
 3. Philip ['fɪlɪp] – კ.სახ. ფილიპ-ი, Philips [fɪlɪps] – გვ. ფილიპს-ი
 Philipson [fɪlɪpsɒn] – გვ. ფილიპსონ-ი **ps** – პს
 Wolf [wʊlf] – გვ. ვულფ-ი Wollfs [wʊlfz] გვ. ვულფს-ი **fs** – ფს
 4. Cooctown ['kʊktaʊn] – გვ. კუკტაუნ-ი
 Monkton ['mɒŋktn] – გვ. მანკტონ-ი **kt** – კტ.

ახლა გავარჩიოთ, Dick-სა და Dix, Dixon-სა და Dickson-ს შორის სამართლებრივი თვალსაზრისით ისეთივე სხვაობაა, როგორც სვანიძესა და სვანაძეს შორის. გარდა ამისა, თუ ქართულად სწორად გამოვთქვამთ ბესიკ-ი – ბესიკ-ს, ავლიპ-ი, ავლიპ-ს, უცხო სახელების სწორად გამოთქმას რა უდგას წინ. უცხო საკუთარი სახელის სწორად გამოთქმა წინაპირობაა მისი დედანში სწორად რეკონსტრუქციისა, ანუ მისი ცნობადობისა. გარდა ამისა, აქტიური ორენოვნება ხომ ურთიერთდამოკიდებულებას გულისხმობს. მაქსიმალურად დაცული უნდა იყოს საკ. სახელის მორფოლოგიური ანალიზით მიღებული მონაცემები, ანუ სახელის იერსახე. ახლა ჩავიხედოთ ქსე-ში: კრუპსკაია – VI, 45, კრეპსატენი – I, 36, ბერკტაუნი – I, 128, „აკტი გონიური“ I, 619, „ფოლკსცაიტუნგ“ – I, 148 და ა.შ. მაგალითები ბევრია. რა არის ეს? „ჭკვიანი შეცდომა“ თუ ნორმიდან გადახვევა?

- 2. გემინატი.** ორი სავსებით მსგავსი თანხმოვნის შეერთებისას წარმოქმნილი გრძელი ან გაორმაგებული თანხმოვანი. მაგ.: ურემმა, ვაზზე, გგონია. მათ ასევე ხშირად ენაში მორფოლოგიური ფუნქცია აკისრიათ. მაგ.: იაფფასიანი, მედდა, შტაბბინა, კონტრევეოლუცია. ჩავიხედოთ ქსე-ში: ლანგგესერ-ი VI, 118, პოდდუბნი – VIII, 117, ბერგგოლცი – II, 312, „ესტერდაიხი“ – I, 141, გომმუხაყ-რუა – III, 216, ხატისსოფელი – ორთ. ლ.
 ახლა მწერლობასაც მივმართოთ:

ი.აბაშიძე – ლექსი „ბილიკი მღერის“. ...„ო ყველაფერი მას ესმოდა ერთ გაბმულ გამმად“

ჯ.ჩარკვიანი – ლექსი „ანნა შოსტაკი“. ...„გარდაიცვალა ანნა ტიმოფეენა, პოემა „ეა“ – ლექსში „ნანნა“ სათაურად.

გ.ტაბიძე – ლექსი „ჭიანურები“. ...დაღვრის შეშლილი ცრემლებს მოგონებათა „გამმა“.

ლექსი „პირველი ვარდი“. ...და ჰავაელი პატარა ქალი სახელად ემმა.

მ.ლებანიძე – უსათაურო ლექსი. ...ემლი ვფურცლავ მარინას, ბელლას, ბოლოს რიგრიგად გადავდებ ყველას.

კ.გამსახურდია – განსაკუთრებით გამოირჩეოდა რადიკალიზმით. მის სტატიებში რჩეულის VIII ტომში უამრავია მაგალითები, შტრასსბურგი, პრესსა, ანნა, ნოველლა, შილლერი, მისსია, კლასსიკოსი, ტეკკერი, ესსეი, მანნი, ანნამიტები, მორრისი და სხვ..

ზ.გამსახურდია – „წერილები და ესსეები“ – მისსია, შელლი, სასსეესი.

ა.ჭავჭავაძე – „სვემ მანვიმა მანანა“... „მომივლინა მან ანნა“.

ვაჟა ფშაველა – „ანნა ბულბული“. ...ცხვრები გარეკა ტყის პირად ობოლმა ქალმა ანნამა“.

ახლა ინგლისურსაც მივხედოთ.

Mackinly – მაკკინლი, **Rockcliffe** – როკკლიფი.

Goodday – გუდდეი, **Shotton** – შოტტონი.

აქ გემინატი ყველგან მორფემათა მიჯნაზეა. გარდა ამისა, გვარებში **Abatt** და **Abbat**, **Gip** და **Gipp**-ს შორის მიუხედავად დიდი მსგავსებისა, აქაც თავს იჩენს სოციალური სანქცია. მათ შორის ისეთივე დიდი განსხვავებაა, როგორც გიორგაძესა და პეტრიაშვილს შორის.

ამოღებული ასოები **ჭ, ჯ, ჳ, შ, ჟ**.

„ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ XII ნიგნში ბ.შალვაშვილის სტატიისში: „ქართული ენის სახელმძღვანელოები ძველი ქართული ანბანისა და ხმარებიდან გამოსული გრამეფების შესახებ“ – ვკითხულობთ: „ორიგინალობით აღბეჭდილი თვითმყოფადი ქართული ანბანი განუწყვეტლივ ვითარდებოდა; იგი სულ უფრო იხვეწებოდა თავისი 1500 წლოვანი ისტორიის მანძილზე: იცვლებოდა როგორც ასოთა მოხაზულობა, ისე მისი შედგენილობაც“. „ქართული ენის ბგერითს სისტემასა და ანბანში მიმდინარე ცვლილებების ხანგრძლივი ბუნებრივი პროცესი ორთოგრაფიული რეფორმით დამთავრდა. დიდი ილიას თანმიმდევრული თეორიულ-პრაქტიკული მოღვაწეობის შედეგად, **მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან სალიტერატურო ქართული საბოლოოდ გათავისუფლდა ე.წ. ზედმეტი ასოებისაგან. მაგრამ ეს როდი ნიშნავდა, რომ დროისაგან უკუგდებული ძველქართული ანბანი სამუდამოდ უნდა გაგვეწირა დასავიწყებლად – ქართული დამწერლობის ჯეროვანი ცოდნის გარეშე წარმოუდგენელია ეროვნული კულტურის რიგი საკითხების გადანყვება, ამიტომ აუცილებელია მისი ჩაღრმავებული შესწავლა, მითუმეტეს ახლა, როცა რელიგიისა და კულტურის პრობლემათა კვლევას დანყებითს სკოლაშივე ეყრება საფუძველი“.**

ამაზე მეტს რას ვინატრებდი! მკითხველს ვთხოვ ეს სტატია გულდასმით წაიკითხოს. საქმე ის არის, რომ „ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ პირველ კრებული (1936, 1970, 1986) **ი, ყ, ე, ეყ, Ia, lu**-ს მიმართ ნორმები დადგენილია 1936-1940-იან წლებში და გატარებულია კეთილხმოვანების პრინციპი. საუკუნეს რაღა უკლია არა? ამ ხნის განმავლობაში რამდენი რამ მოხდა ქვეყნის ცხოვრებაში. ნორმები დარჩა მხოლოდ უცვლელი, ისიც განსაკუთრებით უცხო საკუთარ სახელთა სფეროში. მიხარია, რომ მოვესწარი ამოღებულ ასოთა აღდგენა-აღიარებას, მით უფრო, რომ მე ეს ასოები ჩემს ნაშრომში 1981 წელს გამოვიყენე. გაგებდავ და ვიტყვი, ალბათ ბატონი ა.შანიძეც კი შეიცვლიდა აზრს. შდრ. ნორმების I კრებული, გვ. 38-39. მეცნიერულ წიაღსვლებს ჩაენაცვლა ამოღებული ასოები, გამარტივდა წესები, ორთოგრაფიაში პრაქტიკული ტრანსკრიპცია იმით არის სანიმუშო უცხო საკუთარი სახელების გადმოტანის დროს, რომ ათანხმებს და ეყრდნობა კომბინირებულ მეთოდს ფონეტიკური (მეცნიერული) ტრანსკრიპციისა და ტრანსლიტერაციის სახით. გასაკვირი ისაა, რომ ამ პერიოდში ქსე-სა და მწერლობაში შეიქმნა ნიმუშები, სადაც თავისუფლად გამოიყენებოდა ამოღებული ასოები: **ი** – ეჟ, **ე** – ეო, **ყ** – ეა, **ეყ** – ეაა, **Ia** – ლაა, **lu** – ლჟ.

მაგ. ვ.კოტეტიშვილი – ფედერიკო გარსია ლორკა „Duende-ს თეორია და თამაში“. გლჟუკი, მიჟო, ფალა, ოკანა, ვილა, მანსანილა, ბანდერილა, კატალაჟუდი.

ვ.კოტეტიშვილი – სტ. ომარ ხაიამი, ენციკლოპედია, ტ. VII, 525. ბიბლიოგრაფია: „ქოლიათე ასარე ფარსიჟე ჰაქიმე ომარ ხაჟამ“, თეჰრან, 1338 (1995). 2. რობაჟათე ხაჟამ“ 1335 (1956).

მ.მაჭავარიანი – „რამდენიმე სიტყვა“. ვრცელი გამოკვლევა ხელნაწერში (მთლიანად), საუნჯე 1988, №2.

გ.ახვლედიანი – „ავესტის გათები“. მთლიანად, 1979.

გ.ტაბიძე – „გვიანი ოცნება“. ...და ოცნებანი გვიანი ვილჟე დე ლილ-ადანის. რჩეული 1973.

...(იბრძოდნენ შურნი) ძველი ნოქტურნი გამიგონია“.

კ.გამსახურდია – რევოლუცია, ნჟუანსი, სჟუჟეტი, რეკლჟუ, ევოლჟუცია, უჟიტმენი, ნჟუტონი, ესსეჟ.

გ.ხორნაული – მთები და სახელები. ტოპონიმიკური ლექსიკონი 1983.

ა.მაყაშვილი – ბოტანიკური ლექსიკონი, 1991.

ამ ფაქტებზე დაყრდნობით და ინგლისური მასალის საფუძველზე ჯერ კიდევ 1980 წ. მეც ჩემს ლექსიკონში თამამად გამოვიყენე **ე** და **ჟ**.

მაგ.: William – ჟილიამი, Hewet – ჰეუიტ-ი, Bewick – ბეუიკ-ი, Dwight – დჟაიტი-ი, Stewart – სტეუარტი-ი.

მთავრულები (საზედაო) – დიდი ასო, სტრიქონს ზემოთ ასული ასო. მთავრულის პრობლემა დროდადრო იჩენს ხოლმე თავს. მიზეზი მისი საჭიროებაა. ისევე, როგორც ზემოთხსენებულ საკითხებში ენათმეცნიერების პოზიციაა ურყევი – გასაკვირია ისიც, რომ თვით ქსე-ში, ყველა სახის ბეჭდურ პროდუქციაში აზრისა და ყურადღების გამახვილების მიზნით იგი სრულიად თავისუფლად იხმარება. გამონაკლის წარმოადგენს ისევე საკუთარი სახელები და წინადადების საწყისი. აქ არ

მოყვები ისტორიულ მიმოხილვას. საკმარისია ქსე-ში გასული სტატიები: „ქართული შრიფტი“ – X, 485, „ქართული დამწერლობა“ – X, 473, „დვალები“ – III, 490, ივ.ჯავახიშვილის „პალეოგრაფია“, რ.პატარიძის „ასომთავრული, და ა.შანიძის „დაფარული საუნჯე“ (ა.შანიძე – სალიტერატურო ქართულის საჭირობოროტო საკითხები – 1979, გვ. 145). სამეცნიერო და მხატვრულ ლიტერატურაში საკმაოდ მაგალითები იმის დასტურად, თუ რა გადამწყვეტი როლი შეუსრულებია სწორედაც რომ მთავრულ ასოს. გავიხსენოთ მაგალითები :

1. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი IV, გვ. 17, „ერთი შეხედვით უცნაური სჩანს, რომ დ.ყფიანი, რომელიც დაუცხრომლად იბრძვის სიმარტივისთვის, თავის გრამატიკაში იყენებს ასომთავრულ ასოებს. წინასიტყვაობაში იგი ასე ხსნის ამ ფაქტს: „სხვა არა იყოს რა, თვალთათვის მაინც დიდად სამძიმო არის სტრიქონების ისეთნაირი გაბმა, რომ შესასვენებელი აღარც სად წერტილი ჩანდეს და აღარც სად მომსხო ასო წვნიკი ასოებისაგან გამოსარჩევი“, ამიტომ მას უთხოვია, რომ ევროპული მართლწერის შესაბამისად, „მომსხო ასოები ხმარებულყო“, მაგრამ რადგან ეს ტექნიკურად მოუხერხებელი აღმოჩენილა, გამოუყენებიათ ასომთავრული; რაკი ხალხს დავინყებული აქვს ძველი ასომთავრული და ნუსხური ანბანი, შესახსენებლად ამ ანბანთა ცხრილებსაც წარმოადგენს ავტორი“. ამავე აზრისა იყვნენ ი.გოგებაშვილი და საეკლესიო მოღვაწენი. სამაგალითოდ არც თუ ცოტაა ლიტერატურა.
2. ჟ. „რელიგია“-ში, 1994 წ. №3, 4, 5, გვ. 113 ვკითხულობთ ედიშერ ჭელიძის გამოკვლევას „იოანე პეტრინის ცხოვრება და მოღვაწეობა“ „ბერძნული ტექსტი ეჭვმიუტანლად ცხადყოფს, რომ „აბაზგი“ არის არა ეროვნების აღმნიშვნელი, არამედ საკუთარი სახელი ადრესატისა, ამას ცხადყოფს მთავრული ასო და არტიკლის გამეორება: „პროს ტონ აბასგონ ტონ გრამმატიკონ“. მოტანილი ტექსტი ითარგმნება არა როგორც „აბაზგი გრამმატიკოსის მიმართ“, არამედ „აბასგის, გრამმატიკოსის მიმართ“ ანდა „გრამმატიკოს აბასგის მიმართ“. ე.ი. „აბასგი“ არის ადამიანის სახელი; ეს გარემოება კი აქარწყლებს ლეგენდას „იოანე აბაზის“ შესახებ.
3. „ლიტერატურული საქართველო“, 1987, 29/1. კითხულობთ ლ.ბრეგაძის სტატიას „ქართლის ცხოვრება გერმანულად“.
 - ა) „ქართულ დედანში სიტყვა ზაქე გაგებულია, როგორც ზაქი (კამეჩის ხბო). საქმე ის გახლავთ, რომ ზაქე ადამიანის საკუთარი სახელია. ქართულში რომ საკუთარი სახელები დიდი ასოთი იწერებოდეს, მაშინ მთარგმნელები ასეთი შეცდომისგან დაზღვეულნი იქნებოდნენ“.
 - ბ) იმავე სტატიაში: „ჯაჭვი“ აქ გეოგრაფიული სახელია. მთარგმნელს კი გაუგია როგორც აბჯარი.

...„რას ნიშნავს აქ „კედარი“? რუსულ და გერმანულ ბიბლიებში კედარი დიდი ასოთი სწერია, ე.ი. საკუთარი სახელია.

4. კ.გამსახურდიას თხზ. VIII ტ. გვ. 252. მსოფლიოში სახელგანთქმული ფილოლოგი ბარონ ფონ ლიხტენბერგი სწერდა ბ-ნ კონსტანტინეს: „ახლა უნდა მოგახსენოთ, ბატონო დოქტორო, მე დაუფლებული ვარ მსოფლიოს ბარე ოცდაოთხ ენას და ასეთი ლამაზი ასოები, ასეთი პრაქტიკული, ზუსტად გამომხატველი ყოველი ბგერისა, მე სხვა აღფაბეტი არ მეგულება. ერთია მხოლოდ აღსანიშნავი: ამ უაღრესად მრგვალ ასო-ნიშნებს უთუოდ ესაჭიროება ასომთავრულის თანდაყოლიება, რადგან თქვენი აღფაბეტი დიდ მანძილზე უთუოდ თვალს დაუღლის მკითხველს“. ახლა უცხო ენებსაც მივხედოთ.

ინგლ. **Macmillan** – მაკმილან-ი, ჰაროლდ – ინგლ. სახ. მოღვაწე

MacMillan – მაკმილან-ი ედუინ-ი – ამერ. ფიზიკოსი.

Mackowie – MacKowie [ma'koui] – მაკკოუი, **Macleod – McLeud** [mak'laud] –

მაკლაუდ-ი.

ქართულად ამ ორი მოღვაწის გვარი ერთნაირად დაინერა. სინამდვილეში კი ორი სხვადასხვა გვარია. ასევე სხვადასხვა გვარია **McGregor** და **M'Gregor, Macgregor** – მთავრულის აუცილებლობა თვალნათელია. **O'Donnell, O'Kane, O'Henry, De la Hay, Delafield, Le Tever, Le Grand, Leroy.** ეს პრობლემა დგას სხვა ენებშიც, მათ შორის ქართულშიც. ქართულ გვარებს: მხატვარი, კალატოზი, მენაბდე, ხელისუფალი, მონყობილი და სხვ. აუცილებლად გასარჩევად კონტექსტი დასჭირდებათ. საზედაო ასოები კი პრობლემას მოხსნიდა. როგორ გავარჩიოთ სად სახელია და სად გვარი? ჯუვეინი ალა ად-დინ ათა მალიქ იბნ მუჰამად – ირანელი ისტორიკოსი. იაკუთ-ი იბნ აბდ ალ-ლაჰ ალ-რუმი ალ-ჰამავი – არაბი მეცნიერი. ისა იბნ-აშ-შეიხ-აშ-შაი-ბანი – თბილისის ამირა. ლუქსემბურგის დიდი ჰერცოგი – ჟან ბენუა გიიომ მარი რობერტ ლუი ანტუან ადოლფ მარკ დ'ავიანო. უცხო საკუთარი სახელი ასო-ბგერათა გროვად რომ არ დარჩეს, საჭიროა მისი მეტ-ნაკლებად შეცნობა.

ცხადია, ტრანსკრიპტორს საამისოდ უნდა ჰქონდეს უცხო სახელის დედანი, ამ ენის ონომასტიკური სისტემის ცოდნაც და რა თქმა უნდა, ქართული ენის მთელი რესურსიც. სხვაგვარად ძალიან ძნელი წარმოსადგენია უშეცდომობა. თუმცა, სხვა თუ არაფერი, დღევანდელ პირობებში თუნდაც უცხო ქვეყნების საელჩოებს საკმაოდ დახმარების განევა შეუძლიათ.

დეფისი – გრაფიკული ნიშანი, მოკლე ჰორიზონტალური ხაზი (-), რომელსაც იყენებენ შეერთების კომპოზიტივებში (მაგ.: დედა-შვილი), სტრიქონიდან სტრიქონზე სიტყვის გადატანისას (მაგ.: წიგ-ნი), აგრ. შემოკლების ნიშნად (ინ-ტი – ინსტიტუტი), გრამატიკული ელემენტის გამოსაყოფად (და – ნე – რი – ლი).

ჩავიხედოთ ქსე-სა და ორთოგრაფიულ ლექსიკონებში.

მაგ.: ლევენსონ-ლესინგი ფრანც

ლენა-ანგარის პლატო

ჯოულ-ლენცის კანონი

გასაგებია.

მაგრამ, გაუგებარია

მაკლენან-ი – მაკ-კინლი

მაკდონალდ-ი – მაკ-კარტი

მაკმანუს-ი – მაკ-კლინტოკ-ი
 ისკანდერქოლ-ი – ისიქ-ქოლ-ი
 რანგქოლ-ი – აქ-ქოლ-ი
 აქ ალბათ დეფისი გემინატის უარსაყოფადაა გამოყენებული
 ახალი ათონი – ნიუ-იორკ-ი
 თეთრი წყარო – ბელაია-ბერიოზკა
 დეფისომანია იქამდე მივიდა, რომ კარიკატურას ემსგავსება.
 ლევ-ტოლსტოი – დაბა რსფსრ-ში.
 სტეპან-რაზინი – დაბა აზერბაიჯანში.
 მაგალითები ამოღებულია „საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების
 ბის ორთოგრაფიული ლექსიკონიდან“.

გაურკვეველია რატომაა

Port Elizabeth – პორტ-ელიზაბეტი, **Prince Patrick** – პრინს-პატრიკ-ი, **Saint Lucia** – სენტ-ლუსია, მაგრამ, ფრ. **Saint-just** – სენ-ჟიუსტი-ი.

ისა იზნ-ამ-შეიხ-ამ-ში ბანი (საქ. ისტ. ნარკვ. II, გვ. 500).

ჩემის აზრით, შეცდომით გადმოტანას სჯობს ანგარიში გავუწიოთ წყარო ენაში
 დამკვიდრებულ ნორმას.

მახვილი – ამა თუ იმ მარცვლის სხვაზე უფრო მკაფიოდ, გამოჩინებით წარმოთქმა. თუ მახვილი მუდამ მოუდის სიტყვათა გარკვეულ მარცვალს, მას ფიქსირებული ეწოდება, თუ არა თავისუფალი; თუ სიტყვაში არ იცვლის უძრავი, მუდმივი ეწოდება, თუ იცვლის – მოძრავი. თუ სიტყვას ერთზე მეტი მახვილი აქვს, განარჩევნ სხვაზე უფრო გამოკვეთილ მთავარ, ძირითად მახვილს და დამხმარე, თანამახვილს.

როგორც უკვე აღვნიშნე, ორთოგრაფია ორთოეპიას თავისთავად გულისხმობს. ის, რაც ქართულში არ არის პრობლემა, პრობლემაა უცხო ენაში და თუ ქართულს ძალუძს ამის გადმოცემა, წყარო ენის ყველა მახასიათებელი მთელი სისრულით უნდა გადმოიცეს, და რომ ძალუძს, ამის მაგალითია ე.თათარაიძის პოეზია და ქართული დიალექტოლოგია, როგორც ქართველებისათვის, ისე უცხოელ ქართველოლოგთათვის.

მაგ.: **Максiм Максiмoвич Максiмoвич**

მაკსiმ მაკსiმოვიჩ მაკსიმირვიჩ.

Абрáм Абрáмович Абрамóвич

აბრáმ აბრáმოვიჩ აბრამრვიჩ

Ивáнов და **Иванóв** – ორი სხვადასხვა გვარია.

Му́зыка – საზ. სახ. და **Музы́ка** – გვ.

„Сéмья“ – ჟ.სემეა და „Сeмя“ – სემეა“ – ჟ.

ქართ. სტუტრუა რ. და ფრ. მორუტ ა.

რუს. **И.Сáвина** – კინორეჟისორი და იტალ. ნინო საჭინა – კინოოპერატორი.

Vogel $\left\{ \begin{array}{l} \text{გერმ. ფრგელ} \\ \text{ინგლ. ვრგელ} \\ \text{ფრანგ. ვოჟელ} \end{array} \right.$

Colleen [ˈkɒli:n, kəˈli:n] – ქ. სახ. კოლლინ-ი, კოლლინ-ი

Cecile [ˈsesil, sɛˈsi:l] – ქ. სახ. სესილ-ი, სესილ-ი.

Henriette [ˈhenriˈet] – ქ.სახ. ჰენრიეტ-ი.

ეს საკითხი ძალზე მნიშვნელოვანია თეატრის, კინოსა და მასმედიის შემოქმედებით ცხოვრებაში, სადაც ცოცხალ მეტყველებას სხვა ელფერი და დატვირთვა აქვს.

ახლა რაც შეეხება ჩემ პირად განცდებს, რომელიც არ მტოვებს წლების განმავლობაში. არ შემიძლია დიდი მადლიერება არ გამოვხატო ბ-ნ პაატა ნაცვლიშვილის მიმართ, რომელმაც ვრცელი რეცენზია მიუძღვნა ჩემი ნაშრომის პირველ გამოცემას გაზეთში „ბიბლიოთეკა“, №3 (7), 2004 წ. იხ. გვ. 89-95. გამომცემლობა „განათლებული საქართველო“. ჩვეული გულწრფელობით გამოხატული თანაგრძნობა მთელი ამ ფრიად უსიამოვნო ისტორიის გამო ჩემთვის მაცოცხლებელი სტიმული იყო.

ბედის ირონიაა სწორედ ქალბატონ ინგა პაპავასთან შეხვედრაც. მეგობართან სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე მისი პატარა წიგნი „ესკიზები, 1991, თარგმანები, სტატიები ონომასტიკაზე“ (2006 წ.), რომელშიც შესული იყო ზემოხსენებული სტატია „გეორგ თუ ჯორჯ“ („საუნჯე“, №5, 1981 წ.), რომლის სქოლიოში წავიკითხე: „კარგი შენაძენი იქნებოდა, ვინმე რომ მოამზადებდეს ინგლისური ონომების, ანთროპონიმების, ეთნონიმების ქართული ფორმების ცნობარს“. გვ. 135. ამ დროს, სწორედ ასეთი ცნობარი მას 1980 წლიდან ელოდა. ყველაფერს და ყველას თურმე თავისი ბედისწერა აქვს. უკვე 2016 წლის ივნისში გავეცანი მის ძალიან ჭკვიან სტატიებს: „სახელთა“ ტრანსკრიფციული“ გადმოცემა ქართულ თარგმანში“ „ქართული ონომასტიკის შესანარჩუნებლად“, „გალივერის დასაცავად“. გავიხარე და შევხვდი. ნატრული ვიყავი მართალი აზრისა. ერთდროულად გამიახლდა გულისტკივილიცა და სიხარულიც. დავასაჩუქრე და ბოლოსდაბოლოს მთარგმნელის აზრიც მოვისმინე. კერძო რეცენზიაც მივიღე: „ქ-ნ ვიოლა ვაშაკიძის ნაშრომი ფრიად დასაფასებელი და გამოსაყენებელია. ვ.ვაშაკიძე კომპეტენტურად აყალიბებს საკითხს. ნაშრომში მოცემული თავი „ონომასტიკის აგებულება“ კარგი ინფორმატიული მასალაა ამ საკითხში გაუთვითცნობიერებელი მკითხველისათვის. სტატიები „ინგლისური და ქართული ბგერების დახასიათება“, „საერთაშორისო სატრანსკრიპციო ანბანი და ბგერათა ქართული შესატყვისები“, „ინგლისურ ასოთშეთანხმებათა წაკითხვა და მათი ქართულად გადმოტანის წესები“ სამაგიდო დამხმარე მასალაა ქართველი მთარგმნელისათვის, თუნდაც სათარგმნი მასალის ონომასტიკა არ იყოს წარმოდგენილი ლექსიკონში, ან სხვა ენიდან თარგმნიდეს. ეს სტატიები ნებისმიერი უცხოური ონომასტიკის სწორ ქართულ შესატყვისს მოაძებნიებს მთარგმნელს. ნაშრომის ძირითადი თავი „ინგლისური საკუთარი სახელები“ შესანიშნავი პრაქტიკული დახმარებაა ქართველი მთარგმნელებისათვის. მსგავსი ცნობარი სხვა ენებისთვისაც, მაგ.: გერმანულის, ფრანგულის, რომ მომზადდებოდეს, ეს იქნება ქართულ მთარგმნელობით კულტურაში შეტანილი წვლილი“. იხ. გვ. 97.

ჩემო მკითხველო, შეადარეთ ამ წიგნის პირველ ნაწილში წარმოდგენილი ინგლისური ენის არმცოდნე ენათმეცნიერების „გამანადგურებელი“ წერილი. ჩემთვის გასათვალისწინებელია მისი აზრი ნაშრომის გამოყენების სიადვილესთან დაკავშირ-

რებით. მეც ვაღიარებ, რომ იგი ინფორმაციის მოცულობის თვალსაზრისით „მიძიმე“, მაგრამ ვერ შეველიე მოძიებულ ძალიან საჭირო ზღვა მასალას და შევეცადე ერთ წიგნში მომექცია ის იმ იმედით, რომ მკითხველი, მთარგმნელი იქნებოდა ის თუ სტუდენტი, ან უბრალოდ დაინტერესებული პირი, წიგნს თავიდან წაიკითხავს, გაეცნობა ლექსიკონის აგებულებას და იმდენ ინფორმაციას ამოიღებს როცა, სად და როგორ დასჭირდება. გამოსაქვეყნებელი სხვაც ბევრი დამრჩა მოხმარების გაადვილების თვალსაზრისით ჩასართავი, მაგრამ ხომ გსმენიათ ცხელზე დამწვარი, ცივსაც უბერავდაო. მე ახლაც არ ვიცი, თუ ცოცხალს მეღირსება მისი ნაბეჭდ წიგნად ხილვა.

და ბოლოს, ყველა ის საკითხი, რომელიც წერილში ძალიან, ძალიან მოკლედ მიმოვიხილე, თითოეული ცალ-ცალკე სერიოზულ განსჯას საჭიროებს. მე შევეცადე საკითხის დასმის წესით საზოგადოებისათვის შემეთავაზებინა ჩემი დაკვირვებები, მოპოვებული მონაცემები. სხვა არის მეცნიერული აზრისთვის დაწერილი გამოკვლევა და სხვაა პრაქტიკული საჭიროებისთვის. მე არ გამაჩნია არანაირი ტიტული, ჩემი ნაშრომიც ვითარებით დამცირებულ მდგომარეობაშია წარმოდგენილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მე, როგორც ავტორს, უფლებამოსილების პრეტენზიაც მაქვს და გარკვეული როლის შესრულების ვალდებულება. ვიმედოვნებ ოდესმე სიმართლე იყვირებს.

ვიოლა ვაშაკიძე
2016 ივნისი

დოკუმენტები

Центральный комитет КП Грузии и Совет
Министров ГССР

Р о с т а н о в л е н и е

от 15 декабря 1975 г. №738

О составлении переводческого дела в области
художественной литературы и мерах по его
улучшению

Придавая большое значение переводной художественной литературе в деле идейно-патристического, интернационального и эстетического воспитания трудящихся в развитии культуры народа, ЦК КП и Совет Министров ГССР постановляют:

10. Президиуму Академии наук ГССР принять необходимые меры для активизации лексикологической деятельности в научных организациях ГССР, обеспечить систематическое издание словарей, справочно-библиографической и научно-информационной литературы.

და შეყოქნა სუქარ მველომ სსრ
ჭინიქით სწქოს 1981წლის 14მარტი
N: 181 და დგუნილონით.

დ ე ბ ა ლ ე ბ ა

საქარ მველომ მწესლოთა ჯავჭირთან არიბყო მხაფვილო
თარგმანისა და ლიქინაყინყო ყრთიერთობათ მთავარი სარდაქლო
ჯოლოჯიის შესხე

ჭინიქითა ყდლონა ჴოჯალოტობათა:

6. გაყნოს შემოქედნითი და მხარეზა რისაყოლოთის სხვა ჴობოქედლოტს
სალოქყოლი მთარგმნელოტითი საძყოქოს ჴსრყოტაჴი ჴესა მისო
დაარჯის ჴექიოთის, თარგმანის სწყოქალოსო და ენებან ჴლოდე
წერსაქყოლი ახალოტანდა ლიქინაქოტინს მოზიღვი ჴანა =
ლოთქოლოთ საძსაყოტინივი მარქმინი, საქედიოთ = სთინოტოქოთ,
საქონსათი = ჴინლოოოქოსყოლი, ლიქინაყოლო წინოქეჴისა და
ყრთიერთობათა აქსხელო, სხვა ლიქინაყოლოთ მომზადეზა, აღოლოტინა
და მონვეყოლი მწერლოტისა და მთარგმნელოტის დასახარეზა და საქინა
ქრწინოლოოქოთი და ლიქსოოლოოქოთი მასლოტის მომზადეზა ირთიოქოდა
ანსა დაყოტინს სდყოქოლონი, ანსა დაყოტინს ხელოქარყოლოთი ბეზა
და დგუნილო ნოთქინსა და ნესქინს დაწოთ ჴოქექოტან ყრთიერთობათა
დეყოლოტის ჴყოქოლოთა.

გამოსქეს ლიქინაყოლო ჴესაჴისი წინოქოლოთი მინელოთი მთოქმინი,
მხაფვილო და საქედიოთი = მხაფვილო, წინყოლოთი, საქედიოთი = სთინ-
ოქოტინი = ჴინლოოქოსყოლი, ლიქინაყოლო ყრთიერთობათა და მინ-
ქეჴის აქსხელო და სხვ. -----

Госкалмиздат ГССР

№ 01 - 18/445

14.09.78

Перспективный план энциклопедических изданий на 1981-1985г.

При Главной редакции Грузинской Советской энциклопедии несколько лет назад была создана специальная группа, которой поручена унификация собственных имен (как грузинских, так и вошедших в грузинский язык из древне греческого, латышского, русского и др. языков). Во время работы над энциклопедией стало очевидно, что проведение такой работы совершенно необходимо.

Было признано целесообразным параллельно с составлением энциклопедии последовательно подготовить к изданию серию орфографических словарей собственных имен.

В соответствии с постановлением Совета Министров республики составление таких словарей было поручено Главной редакции ГСЭ и Институту языкознания АН ГССР.

Главная цель названных словарей, унификация написания собственных имен. Все эти словари по мере подготовки к печати будут представляемы на утверждение в Государственную комиссию по установлению норм современного грузинского языка при Совете Министров ГССР.

После утверждения данной комиссией написания собственных имен содержащиеся в словарях наименования примут обязательный характер.

Уже составлен, утвержден и сдан в производство словарь этой серии: "Фревкереческие и латышские собственные имена" (личных и географических) с подробными правилами передачи этих имен. Выйдут.

1. Словарь географических названий зарубежных стран - 1984. В словаре представлены унифицированное нацписание на груз. языке названий континентов, стран, городов, гор, рек, озер, морей, озер и т. д.
2. Словарь личных имен - 1985. В словарь включены в унифицированном виде фамилии (имена) всех деятелей, исторические личности, представленные в словнике ТСЭ.

В качестве приложения будут даны списки русских, англ., франц., нем., исп., итал. и т. д. личных имен с их грузинскими соответствиями.

В вышеуказанных словарях к каждой единице дается определение (выработка типа определений) и в необходимых случаях, отмечаются орфографические особенности.

Словари предназначены для работников редакций газет и журналов, телевидения и радио, научных сотрудников многих специальностей, представителей высшей и средней школы, студентов и т. д.

საქართველოს სსრ მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა
მთავარი საჩუქრული კოლეჯია

თბილისი, დღიანის, 2

ხელშეკრულება

მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის თარგმანზე

№ 118

27 ივლისი 197 წ.

ჩვენ, ერთი მხრივ, საქართველოს სსრ მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარმა საჩუქრული კოლეჯიამ მისი თავმჯდომარის ნიკოლაი ივანოვიჩი ბილიძის სახით, და მეორე მხრივ ავტორმა ვანუკიძე ვიქტორ სერგეის ასკი დავედრეთ ეს ხელშეკრულება ქვემოთ აღნიშნულის შესახებ:

1. ავტორი წარმოადგენს ან ვალდებულია იღებს თარგმნის და წარმოადგინოს (პუბლიკაციის მთავარი, წიგნი შეადგინოს) გამოსაცემად ან ხელახლა გამოსაცემად ნაწარმოები სათაურით "ინგლისურ-ქართული ეტიმოლოგიური-ინფორმაციული ინოვაციები" (ავტორის რეალიზაციის ნომერი) თარგმნილი (მომზადებული პუბლიკაციის, მეცნიერული ნაშრომი, ბიბლიოგრაფია, შედგენილი წიგნი და სხვა). ინგლისურ-ქართული საავტორო თაბახის (სავტორო თაბახი მოიცავს 40 000 ბეჭდურ ნიშანს დანართისა და ილუსტრაციების ჩათვლით) ან 16 საავტორო თაბახი სალექსო სტრიქონის ოდენობით (700 სალექსო სტრიქონი ჩაითვლება ერთ სავტორო თაბახად).

საილუსტრაციო და სხვა მასალა (მეცნიერული, ბიბლიოგრაფიული, საცნობარო, აგრეთვე საძიებლები და კომენტარები) არ უნდა აღემატებოდეს ნაწარმოების მოცულობის 5%-ს (გარდა აკადემიური გამოცემისა).
შენიშვნა: ბეჭდური ნიშნები გამოითვლება სასტამბო სამუშაოებისათვის მიღებული ხერხით (ეგრეთ წოდებული "ლაწევიბი", "შპუტტიტულები", "კოლონიტიტულები", "კოლონიციფრები" არ იანგარიშება). სალექსო სტრიქონებად ჩაითვლება სავტორო სტრიქონები და სათაურები.

- 2. ნაწარმოები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
 - ა) ნაწარმოები უნდა იყოს (ლიტერატურული სახე, ჟანრი)
 - ბ) შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულებაზე დართულ პრიციპს (განაცხადს);
- 3. ავტორი ვალდებულია I-ლ მუხლში მოხსენებული ხელნაწერი, მისი საილუსტრაციო და სხვა მასალა, კოლეჯიას წარუდგინოს კომპლექტურად, დასაბეჭდად ვარჯისი სახით, სამ ვგზემალარად, მანქანაზე დადებულ იქნას ორი ინტერვალით სტანდარტული ფურცლის (საწერი მანქანის 30 სტრიქონი, 27—58 ნიშანი სტრიქონში

(ცალ გვერდზე არა უგვიანეს 197—20 იანვარი წ. ხელნაწერის მოსამზადებლად ფოსტით ხელნაწერის ვაგზავნისას წარდგენის თარიღად ჩაითვლება ფოსტაში ხელნაწერის ჩაბარების დღე.

კოლექტიურ თარგმანს, შესრულებულს ორი ან მეტი პირის მიერ, ხელს აწერს ყველა თანავტორი და სრული სახით აბარებს კოლეჯიას.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, ამ ხელშეკრულების დადების დღიდან, ავტორმა არც თვითონ და არც სხვა პირის მეშვეობით არ უნდა გამოსცეს თარგმანი ან თარგმანის ნაწილი თუნდაც შეცვლილი სათაურით კოლეჯიისაგან წერილობითი თანხმობის მიუღებლად. თუ ავტორი ამ პირობას დაარღვევს კოლეჯია უფლებამოსილი სახით აბარებს კოლეჯიას.

შენიშვნა: კოლეჯიის მიერ ნაწარმოების გამოქვეყნებამდე ავტორს უფლება აქვს დაბეჭდოს იგი ქურონალ-გაზეთებში, კრებულებსა და აღმანახებში.

5. კოლეჯია ვალდებულია გადაუხადოს ავტორს ჰონორარი ამა თუ იმ სამუშაოსათვის (თარგმანს, წიგნის შედგენას, კომენტარება, ბიბლიოგრაფია, ილუსტრირება და ა. შ.) მოქმედი ტარიფების მიხედვით თვითნებური თაბახის ან სალექსო სტრიქონისათვის.

თაბახში 120 მანეთი სულ 1920 მან.

- 6. მე-5 მუხლში დაწესებული ჰონორარი გაიცემა:
 - ა) ხელშეკრულების დადების შემდეგ ავანსად — 25% სავტორო ჰონორარის შესახებ დადგენილი პირობებისა და ოდენობის გათვალისწინებით;
 - ბ) ხელნაწერის გამოსაქვეყნებლად მომზადების შემდეგ 60% (გაცემული ავანსის ჩათვლით) ნაწარმოების მოცულობის წინასწარი განგარიშებით;

თ.ფ.ფ. შ. 2966, ტ. 5000

თუ ხელნაწერი ხელმოწერილია დასაბეჭდად, ავტორს უფლება არ აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მითითვოს ხელშეკრულებით გაცემული ხელნაწერის დაბრუნება.

შენიშვნა: თუ კოლეგიამ დაასაბუთა, რომ არ შეეძლო გამოეკვეყნებინა მოწონებული ნაწარმოები ავტორის მიზეზით, იგი თავისუფლდება ვალდებულებისაგან გადაუხადოს ავტორს ჰონორარიის ნაწილი ხელშეკრულების მე-6 მუხლის „გ“ პუნქტის ან მე-7 მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად.

15. თუ კოლეგიის მიერ მოწონებული ნაწარმოები არ გამოეკვეყნა სახელმწიფო საიდუმლოების დაცვასთან დაკავშირებული მოტივით, ხელშეკრულება გაუქმებულად ჩაითვლება. ავტორს შეუნარჩუნდება ჰონორარიის ნაწილი, რისი ადების უფლებაც ხელშეკრულების გაუქმებამდე ჰქონდა.

16. კოლეგიას უფლება აქვს გამოსცეს ნაწარმოები ნებისმიერი ტირაჟით. ნაწარმოების სავალდებულო, საკონტროლო და სარეკლამო ეგზემპლარები, არა უმეტეს 150 ცალისა, საავტორო ჰონორარიის დარიცხვაში არ შეიძლება.

17. თუ კოლეგიამ გადაწყვიტა ნაწარმოების ხელახალი გამოცემა, იგი ვალდებულია ამის თაობაზე წერილობით აცნობოს ავტორს. მიმართვის მიღებიდან ორი კვირის ვადაში ავტორმა წერილობითი უნდა აუწყოს კოლეგიას თავისი განზრახვა ამა თუ იმ ცვლილებების შეტანაზე. თუ აღნიშნულ ვადაში ავტორისაგან არავითარი პასუხი არ მიიღო, კოლეგია უფლებამოსილია ხელახლა უცვლელადვე გამოსცეს ნაწარმოები.

თუ კოლეგია ხელახლა გამოცემისას წარუდგენს ავტორს მოთხოვნას ნაწარმოების შეცვლა-გადაკეთების თაობაზე (სტილისტური სწორებისა და შეცდომათა გასწორებისა) ანდა მიიღებს ავტორის ანალოგიურ წინადადებებს, მხარეები დებენ ახალ საგამომცემლო ხელშეკრულებას.

18. კოლეგიის მიერ მოწონებული ნაწარმოები მისივე მითითებების თანახმად ბოლომდე დამუშავებულად ან გასწორებულად ჩაითვლება. თუ კოლეგიამ 20 დღეში არ გაუგზავნა ავტორს წერილობითი წინადადება ნაწარმოების დამატებით დამუშავებისა ან ხელახალი შესწორების თაობაზე.

19. კოლეგიას შეუძლია ავტორის თანხმობით წიგნს დაურთოს ილუსტრაციები, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარები და აპარატურა.

20. კოლეგიის მოთხოვნისთანავე ავტორი ვალდებულია წარადგინოს ცნობა, რომ ხელშეკრულების თანახმად შესრულებული სამუშაო არ რის გვემიჯნო, განხორციელებული სამეცნიერო დაწესებულებაში ან უმაღლეს სასწავლებელში სამსახურებრივი დავალების წესით, ანდა წარმოებისაგან მოწყვეტით შესრულებული დისერტაცია.

21. კოლეგიას უფლება აქვს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი მთლიანად ან ნაწილობრივ მიანდოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

22. განსაკუთრებული პირობები _____

23. მხარეთა იურიდიული მისამართი:

ა) საქართველოს სსრ მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგია. 380007, ქ. თბილისი, შ. დადიანის ქ. № 2. ტელ. 93-50-88. 99-85-61.

ბ) ავტორი ვახუშტი ვიქტორ სერგეის ძე 1939 წლის 10-11-19 იურიდიული მისიონი, V კვარტალი XI კორპუსი, მინა 14, 02-02-44 / მისიონის რეზიდენციის მიერ III-ის
(ანუ ციკლიზაცია და გვარი, დაამდგმოს წელი ნაწილი)
1865431

მისამართის შეცვლას ორივე მხარე ატყობინებს ერთმანეთს წერილობით. ამ ხელშეკრულების შესრულების ადგილად ჩაითვლება ქ. თბილისი, დადიანის 2. სასამართლო ქვემდებარეობა განისაზღვრება ხელშეკრულების შესრულების ადგილით.

კოლეგიის თავმჯდომარე:

მინა
ვახუშტი
ავტორი:
1. პასუხისმგებელი მდივანი: *ვახუშტი*
2. _____ რედაქციის გამგე: *ვახუშტი*
3. მთავარი ბუხჰალტერი:
4. იურისკონსულტი:

შენიშვნა: _____

კოლეგია

მთარგმნელი, შემდგენელი, პუბლიკატორი ავტორი



საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის სამმეთა

მ თ ე ვ ა რ ი ს ა რ მ დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე ვ ი ბ ა
ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ
ПО ДЕЛАМ ХУДОЖЕСТВЕННОГО ПЕРЕВОДА И ЛИТЕРАТУРНЫХ ВЗАИМОСВЯЗЕЙ
ПРИ СОЮЗЕ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ინდექსი 380007
Индекс
დადიანის ქ. № 2
ვ.ა. დადიანი

" 15 " IV. 81 წ.
N 189


93-50-88
ფელ. 99-84-81
Тел. 72-45-49

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორს,
საქართველოს სსრ აკადემიის წევრ-კორესპონდენტს
ქეთევან ღობათიძეს

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარ
სარედაქციო კოლეგიის პრაქტიკული საჭიროებისათვის სრულიად აუცი-
ლებელი შეიქმნა უცხოურ საკუთარ სახელთა ორთოგრაფიული დექსიკონის
გამოცემა. ამ მიზნით მივმართეთ ჩვენი კოლეგიის წევრს, თ.ს.უ.
ინგლისური ენის კათედრის გამგეს პროფესორ ნიკო ყიასაშვილს. იგი,
როგორც ცნობილია, დიდი ხანია მუშაობს ინგლისურ საკუთარ სახელთა
ქართული დაწერილობის პრობლემაზე.

პროფესორმა ნ. ყიასაშვილმა დექსიკონის შემდგენილად შემოგვთავაზა
ვ.ვაჟაყვიძე, რომელთანაც გავაფორმეთ სათანადო ხელშეკრულება. ამჟამად
დექსიკონი მზად არის საბოლოო რედაქტირებისათვის.

გიგზავნით ვ.ვაჟაყვიძის მიერ შედგენილ "ინგლისურ-ქართულ საკუ-
თარ სახელთა დექსიკონს" დასკვნისათვის. გახოვთ ყურადღება მიაქციოთ
დექსიკონის რედაქტორის პროფ. ნ. ყიასაშვილის შენიშვნებს, რომლებიც
დექსიკონის ამ ვარიანტი ჯერ კიდევ არ არის გაფაფინებული.

მთავარი სარედაქციო კოლეგიის
თავმჯდომარე -  მ. ნოდია

ახლი

საქართველოს სსრ ფინანსთა და მრეწველობის
და მრეწველობის მინისტრის
380004 მშენებლის 4, ძეგლისთვის ქ. 8
ფურც. 93-29-21

21.04.82 № 10.01.01.040/134

მქვ. № _____

საქართველოს მშენებლობის კავშირთან არსებული მხარვეზობით
მარტინიანსა და დიდიმრეწველ ურთიერთობათა მთავარი
სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარეს **მ. ნ. ღ. ი. ა. ს.**

პასუხად მქვენი ა.წ. 10 მარტის მომარტვისა (№150); გასწავლეთ
წერილებს:

ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეცნიერების კულტურის განყოფი-
ლის გამგე, აწ. გარდაცვლილი პრფ. ივ. გიგინივიძე და დეკანოზოლოგიის გან-
ყოფილების გამგე, უფრ. მეცნ. თანამშრ. მ. ჭაბაშვილი ქართულ საბჭოთა ენის
პრობლემების მუშაობებზე უცხოურ საკუთარ სახეობა ქართულად გადმოცემის უნიფი-
კაციისკენ:

აღნიშნული პირები ქსე-ში წარმოადგენენ ენათმეცნიერების ინსტიტუტს
და ამდენად ევალუატირება უცხოურ საკუთარ სახეობის ქართულად გადმოცემის
წესებში შექმნილ საკუთარ სრულად აქსაბათ ქართულ სალიტერატურულ ენაში
არსებული ამჟამინდელი ვითარება.

მათ ეს სამუშაო შეასრულეს ცალკეული ენების სპეციალისტებთან თანამ-
შრომლობით. კერძოდ, ინტელისური ადამიანთა და გეოგრაფიული სახეობის, რთი-
ბილ შედის ქსე-ში, განიხილეს პრფ. ნ. ვინსაშვილთან და გარკვეული რეკომენ-
დაციები წარუდგინეს ქსე-ის მთავარ სპეციალურ რედაქციას.

რთობის ჩვენთვის ცნობილია, ვ. ვინსაშვილის ინტელისურ-ქართული თანამშ-
რობის გამოსვლის წინააღმდეგობა ქართული საბჭოთა ენის სპეციალისტების
განადგობის, სანამ ეს წესები განხილული და დამტკიცებული არ იქნება მინისტრთა
საბჭოსთან არსებული ქართული სალიტერატურულ ენის ნორმათა დამდგენი მუშაობის

2.

სახელმწიფო კომისიის მიერ და სანამ გამოცემული არ იქნება უცხოურ პირთა და ეროვნულად საკუთარ სახელთა ორთოგრაფიული ლექსიკონები (რომლებიც საბოლოო რედაქციას გაძის).

ამის გამო ენათმეცნიერების ინსტიტუტი თავს იკავებს ვ.ვამაკიძის ლექსიკონის რევიზირებისაგან, სანამ ესე-ის მთავარი სპეციალური რედაქცი ექსპედიტორი არ მიიჩნევს მის გამოცემას.

ინსტიტუტის დირექტორი

/აკაპ. ქ.ლომთაძე/

საპარტიო-საზოგადოებრივი მხარდაჭერის კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა
და ლიტერატურულ ურთიერთობათა

მთავარი სარედაქციო კოლეჯია
ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ
ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ
ПРИ СОЮЗЕ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

თბილისი, 380007, დალიანის ქ. № 2
ტელეფონი 93-50-88, 99-84-81, 72-45-49



Тбилиси, 380007, ул. Даднани, № 2
телефон 93-50-88, 99-84-81, 72-45-49

28. IV 1987 წ. რ.

№ 284

ქაღალდით ვ. ვაშაყვიძეს

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეჯიის აზრით, ლექსი ნაშრომის "ინგლისურ-ქართული ონომასტიკონის" გამოცემის საკითხი უნდა გადაწყდეს საფუძვლიანი და ავტორიტეტული რეცენზირების შემდეგ. ვინაიდან გემოხსენებული ნაშრომი მჭიდროდ უკავშირდება ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა უნიფიცირების საკითხებს, ამიტომ აუცილებლად ვლანით მისი სარეცენზიო გადაგზავნა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტისათვის.

ა.წ. 21 აპრილს კოლეჯიამ მიიღო ენათმეცნიერების ინსტიტუტის პასუხი, რომელიც თან ერთვის ჩვენს წერილს. როგორც ამ პასუხიდან ჩანს, ენათმეცნიერების ინსტიტუტს ჯერჯერობით არ შეუძლია ლექსი ნაშრომის რეცენზირება (ამ მიზეზების განსჯა სცილდება კოლეჯიის კომპეტენციის ფარგლებს). ჩვენ ისრა და გვრჩენია გაუწიოთ, რომ კოლეჯიამ აუცილებლად უნდა დაუტაროს ინსტიტუტის რეცენზიას და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტოს ლექსი ნაშრომის გამოცემის საკითხი.

მთავარი სარედაქციო კოლეჯიის

თავმჯდომარე: *მ. ზოსიანი* ნორია

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის
მთავარ რედაქტორს აკად. ი. აბაშიძეს

ასლი ქსე-ის პარტორგანიზაციის მიღვანს
ს. კონწერაშვილს და ადგილკომის თავმჯდომარეს
ა. ცინცაძეს

სგპ და ფილოსოფიის რედაქციის უმცროს რედაქტორ
ვიოდა სერგის ასულ ვაშაკიძის

გ მ ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ 1968 წლის 16 აპრილიდან 1976 წლის 19 სექტემბრამდე ვიუზიარებული ქსე-ის სალიტერატურო კონტროლის რედაქციაში უმცროს რედაქტორად. მთელი ამ ხნის განმავლობაში რედაქციაში არსებულ ტრანსკრიპტორთა ჯგუფში ვასრულებდი საეცნიერო რედაქტორის მოვალეობას, უფრო ზუსტად, ქსე-სთან არსებული ტერმინოლოგიის დაზღვევის კომისიის ხელმძღვანელობით ვიუზიარებული ქსე-ში შესული ყველა ინგლისური საკუთარი სახელის სწორი დაწერილობის დაზღვევაში. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ: საქ. მეცნიერების ენათმეცნიერების ინსტიტუტის წარმომადგენლები - აწ გარდაცვლილი პრფ. გიგინეიშვილი, მ. ჭაბაშვილი, ქსე-ის ტრანსკრიპტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი უფრ. სამეცნიერ. რედაქტორი, აწ გარდაცვლილი კ. გიგინეიშვილი და საგანგებოდ მოწვეული თსუ-ის პრფესორი, ცნობილი მექსპირლოგი ნ. ყიასაშვილი. ამ საკითხებთან დაკავშირებით მე ადრეც და კომისიასთან მიუშობის პერიოდშიც ვაგრძელებდი მასალას ჩემი საკვადიუიკაციო მედიასაფის. წილების მანძილზე შევიძინე გარკვეული ცოდნა და გამოცდილება. მრავალრიცხოვანი უცხოური და სამამულო ლიტერატურის დამუშავების შედეგად დამიგრძედა დიდი ინფორმაცია თურქულ და პრაქტიკულ საკითხებზე, როგორც ზოგადად საკუთარი სახელების, ისე ერთი ენიდან მეორეში მათი სწორად გადმოტანის შესახებ, 1976 წლის 19 სექტემბერს რედაქციის გამგის ც. ცინცაძის დაუბრუნებელი მოთხოვნით ჩემი სურვილის წინააღმდეგ გადამიყვანეს ქსე-ის სახალხო განათლებისა და ფილოსოფიის რედაქციაში, სადაც დღემდე ვიუზიარებ ასევე

-2-

უმიცროს რედაქტორად. მიუხედავად ამისა, იცნობდა რა ჩემს მიერ ვაქედურ საბჭო მუშაოს მოცულობას, 1977 წლის 27 ივლისს ზემოხსენებული კომისიის წევრის, პროფ. ნ. ყიასაშვილის რეკომენდაციით საქართველოს მწერადთა კავშირთან არსებულმა მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარმა სამრედაქციო კოლეგიამ გააფორმა ჩემთან ხელშეკრულება "ინგლისურ-ქართული ორთოგრაფიულ-ეტიმოლოგიური ონომასტიკონის" გამოცემის თაობაზე. 1980 წლის 1 მარტს კოლეგიამ ჩამბარა შესრულებული ნაშრომი და სამრედაქციოდ გადასცა პროფ. ნ. ყიასაშვილს, რომელმაც იმთავითვე აუცილებლად მიიჩნია რეკოლეგიის შექმნა. ცნობის სახით მინდა გაუწყობ, რომ ზემოხსენებული დექსიკონის ჩემთვის დაკვეთის ფაქტი ენციკლოპედიისათვის ცნობილი იყო. მიუხედავად, ფრიად გაუგებარი იყო ის ვაკვირდება და უარყოფითი რეაქცია, რომელიც პროფ. ნ. ყიასაშვილის მიერ ზემოხსენებული კომისიის წევრებისადმი შეთავაზებულმა წინადადებამ გამოიწვია, საქმე ეხებოდა რეკოლეგიის შექმნას და ქსე-სა და მთარგმნელობითი კოლეგიის მიერ ნაშრომის ურთობლივ გამოცემას. სწორედ ამ ხანებში ქსე-ში და მის გარეთ ჩემს ზურგს უკან ვაფრცხვად აზრი, თითქოს ჩემს ნაშრომში ჰდაგიატს ჰქონდა ადგილი; თითქოს სალიტერატურო კონტროლის რედაქციამ მუშაობის პერიოდში საკარგოთაგან ბარათები "გავიჭადა და ბორჭადა გამოვიყენე", რაღაც ისეთი მეთოდით, არინციპებიტა და წესებით ვისარგებდე, რომლებიც მხოლოდ ენციკლოპედიის საკუთრებას წარმოადგენს და ა.შ.

ჩემდამი წამოყენებული ბრალდების გასარკვევად, რომელმაც თანდათან ფრიად დაუფარავი ხასიათი მიიღო, პროფ. ნ. ყიასაშვილის მოხმავნიტ სალიტერატურო კონტროლის რედაქციამ საგანგებოდ გამართულ შეხვედრაზე მე ჩემი ნაშრომი წარმოვადგინე. შეხვედრას ესწრებოდნენ: სალიტერატურო კონტროლის რედაქციის გამგე ც. ცერცვაძე, კომისიის წევრები - აწ განსვენებული პროფ. ივ. გიგინეიშვილი, მ. ჭაბაშვილი, პროფ. ნ. ყიასაშვილი და მე. ფრიად უსიამოვნო პირისპირ საუბარში, რომელშიც აშკარად იგრძნობოდა დაპირისპირებული მხარისათვის მიტად შეუფერებელი ვადიბიანება, ნაშრომი განუხილველად უარყვეს. მსჯელობა ამჯერად დაიყვანეს მსგავსი დექსიკონების გამოცემის არი-

-3-

ორივედარდო. ბუნდუნციურობის გამო მემოხსენებულ დონეზე აპროა უნაირეთ-
გამიარებამაჟ არ არ მოხერხდა, თუთცა ძალში ადვილი იყო ყველა სადაცო სა-
კოხნის დაწვრილებით გაჩვენება. მიუხედავად ამისა, ანოუ. ყოასამიოდია
წესვედრის მოწაწილებს აცნობა კოდეგის გადაწყვეტილება ნაწი-რისათვის
მსაღვრობის რიცევის შესახებ. ამის პასუხად მ. ჭაბაწვილია მიუხედავად მუ-
ქარანარევი სიტყვეებით დაამთავრა: "ნოცა ეს წიგნი ჩვენიანა"!

ღუქსიკონის რედაქტირების შემდეგ კოდეგიათ 1981 წლის 15 აპრილს იკ-
სარევეწიოოდ მსუ-ის ზოგადი ენაწმეცნიერების კათედრას გადასცა, საიდანაც
იმავე წლის 29 ივლისს დადებითი რევეწია მიიღო. საბოლოო რედაქციის მიერ-
დგ ნორმატულ გამოცემათა მიმართ არსებული წესის თანახმად 1982 წლის
10 მარტს კოდეგიათ ჩემი შრომა ენაწმეცნიერების ინსტიტუტს წარუდგინა.
27 აპრილს კოდეგისაგან მივიღე ბარათი, რომელიც მაუწყებდა, რომ რევეწი-
რებაზე ენაწმეცნიერების ინსტიტუტის უარის გამო ნაწირობის გამოცემა გა-
ნუსაბწვერდი დროთა გადაიღო. ბარათს თან ახლდა "ინსტიტუტის მიერ გამოგდა-
ვნილი წერილი, რომლის საშუალებით ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ 21 აპრილს
თვეწაბვერის შემდეგ, ინსტიტუტმა კოდეგიას ნაწირობი განუბრიდვდად უკან
დაუბრუნა./ორივე წერილი განცხადებას თან უნაგის/. წერილის შინაარსიდან
აშკარად იგრძნობოდა, რომ პატრივეტიუდმა მ. ჭაბაწვილია დაპირებული "მუქა-
რა" შეასრულა. სხვაგვარად სრულიად ვაუგებარია ინსტიტუტის მიერ მსგავსი
არაობივეტური გადაწყვეტილების მიღება სარევეწიო ნაწირობის განუბრიდვ-
დად. ამის გამო შეიკრა წრე: კოდეგიას არ შეუძლია ნაწირობის გამოცემა
იწმეტიმ, რომ არ არის ენაწმეცნიერების ინსტიტუტის აუცილებელი რევეწია;
ინსტიტუტი თავს იკავებს რევეწიერებისაგან, იმიტომ, რომ ქსე-ის ბუბი-
ღვანელობა გამოცემის წინააღმდეგია და ა. შ.

მე, როგორც ავტორმა კუთხისინდისიერად შევასრულე ბუბივეტრებით და-
კისრებული ვადებულება, რომელიც ენაწმეცნიერებად გაჩვენებულ საავტორო უკლებებ-
საც მანიჭებს, მიუხედავად ამისა, მე სრულიად დაუსაბუთებელი მიზეზებით
სრულ იზოდაციათი აღმოვჩინდი.

შექმნილი ვითარება მათაულებს მოგმარათთ მევეწ თბოვნით, მოიწიოთ
ობივეტური და კომპევეწტური კომისია, რომელიც ჩემი ნაწირობისა და იმ ღუქ-

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული
ურთიერთობების მთავარი საჩვენებელი კოდეგონის

მოხსენებებითი ბარათი

საკუთარ სახელთა ინგლისურ-ქართული ლექსიკონის შემიღების ვ.ვაჟა-კიძის განცხადების საფუძველზე კოდეგონის თავმჯდომარეი საჭიროდ მიიჩნია საბოლოოდ გარკვეულიყო ამ წიგნის ბედი, რისთვისაც იგი დამატებითი რეცენზირებისათვის გადაუგზავნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრას. ამავდროულს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზეპირმეტყველების დამოკიდებულების მეცნიერ-ხელოვნებათმცოდნე, დოც. დ.გამსახურდიას ეთხოვა გასცნობოდა ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში წარმოებულ მუშაობის მდგომარეობას საკუთარ სახელთა ლექსიკონზე და მოეცა დასკვნა თუ რამდენად იმეორებს ან ემთხვევა ურთმანეთს ეს ორი ლექსიკონი.

„2 კომისიის მიზანია - სახელმწიფო ენაზე პოლიტიკის შემუშავება, მისი გატარებისათვის რეკომენდაციის გაწევა; - სახელმწიფო ენაზე პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარმართვისა და განხორციელების პროცესის საკონსულტაციო და სამეცნიერო-აქვეთი ორგანიზაცია (ზომ არ აკრებდა „ოპიანიზატს“ - რ ძ კ - საქართველოს სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის განმტკიცებისა და დაცვის ნორმატივი და სამეცნიერო ბაზის შექმნა - სახელმწიფო ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამის პროექტის შედგენა და დამტკიცება, მისი მუდმივი კორექტირება; - სახელმწიფო ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა სახელმწიფო უზრუნველყოფა; - ქართული სალიტერატურო ენის შემუშავებულ ნორმათა დამტკიცება და პრობაგანდა ლექსებით, ტელერადიო გადაცემებით, შესაბამისი პუბლიკაციებით, ენობრივ პრაქტიკაში მათი დანერგვის მიზნით; სახელმწიფო-ტექნიკური ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციის პროცესის წარმართვა; - ენის სწავლის დაცვისათვის მუდმივი ზრუნვა ენის სახელმწიფო პალატისა და სხვა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით; - კომისიის საბაზო სამეცნიერო დაწესებულებების, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არჩილ და ჭიქიავაის სახელობის „ნათიჯერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ შემუშავებული ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა პროექტების დამტკიცება“.

მალევე უნდა აღვინიშნოთ მეცნიერება, სახელმწიფო ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მონაწილეობა,

გვჭირდება თქვენი მუდმივი ს

აღნიშნული კომისიის ერთ-ერთი ძირითადი მიზნის - „სახელმწიფო ენის განვითარების პროგრამის პროექტის“ შესახებ, რომლის კორექტირება მოხდა, მაგრამ სამწუხაროდ საპარლამენტო განხილვების შედეგად ჯერჯერობით არ დამტკიცებულა. ერთ დროს მოსახლეობის ფართო

*გვსწავლო
ქართული ენა*

ფერებისათვის ტელერადიო საშუალებებით ტარდებოდა ენის პრობაგანდის მავარი ღონისძიებები. მაგრამ, სამწუხაროდ, არ მოხერხდა „ენის სიწმინდის დაცვისათვის მუდმივი ზრუნვა ენის სახელმწიფო პალატისთან“ თანამშრომლობით. ძნელად თუ ახსოვს ენის ენის პალატის ორგანიზებული ენის სიწმინდის დაცვის სერიოზული ღონისძიება შესაბამისი პუბლიკაციებით, როდესაც მათი ვანთავსება ოფიციალურ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თუ სხვა გაზეთების ფურცლებზე არავითარ წინააღმდეგობას არ აწყდებოდა შედეგად ამისა, თავი რომ დაეაზნოთ ქველ-ქველი გაზეთებისა და ფრანკლის „ქართულს“, ყველასათვის თვალში საცემია ქალაქის აბრეშისა და ფირნიშების ენობრივი დაბინძურება, რომელიც არკლამის შესახებ კანონის“ დაუცველობით აიხსნება. აქ ენის სახელმწიფო პალატის როლი უპირველესია. იგი ძირითადად დაკავშირებულია უცხო სიტყვების სემანტიკასთან მიმართებაში, უცხოენობრივი ფონეტიკის ქართული ემეველენტის მოუგვარებლობასთან და განსაკუთრებით ენის დაბინძურებაში სიტყვათმრეკლების უსისტეზო, ყოველ უპირატროლობის „შექმნის“ გამო.

მასმედიაში, და სამწუხაროდ, ზოგიერთი ენათმეცნიერის ხელდასმით, ხელეწიურად შექმნის აბრეშტროვითა ახლო პრობლემა არასდროს არ არსებობდა. მისი ვასალები იმთავითვე თვით ქართული ენის სტრუქტურაში იღო: ნებისმიერი შესაბამისი გეოლოგიის ბოლო სიტყვის ბოლო ასო ყოველივეს ხმოვანია და ამ ხმოვანის დართვის საწყისი ასოებისგან შექმნილი აბრეშტროვითა, როგორც იწერება, ისე იკითხება (რ ზერულაუა - სახელმწიფო-ტექნიკური აბრეშტროვითა და აკრონიმის წესები საქართველოს



იუ არა სახელმწიფო ენის ახელმწიფო კომისია?

მეცნიერებათა აკადემიის მრჩეველ
წარმოდგინა აკადემიკოსმა შოთა
ძიძიურმა ტ. 136, 3, 1989 წ.

მასშტაბში ერთიან წესს
დაუკუქმდებარებულ სიტყვათმცოდნეობის
(აბრევიატურები და აკრონიმები)
ქაოსურად, შექმნასა და ხმარებაში
დაშუებული დამახინჯების წინააღმდეგ

მოთხოვნებს საშიშია, რადგან ჯერ
კიდევ არ არის მიღებული კანონი
სახელმწიფო ენის შესახებ. არ გვირდა
ვირწმუნო, რომ „ახლოდება სიტყვის
სახარული დეკლარაცია“ (პერმან ჯესეს).
ცხადია, უნდა შეიცვალოს სემსის
დებულება და შემადგენლობა, რომელიც
საქართველოს პრეზიდენტმა უნდა

მეცნიერებაში მონაპოვოს სიკეთე
არასოდეს მოუტანია. ქალბატონ
ვიოლა ვაშაყისი „ინგლისურ
გვარ-სახელთა ლექსიკონის“
განხილვის უცნაური ისტორიაც
ამას ადასტურებს, ვინაიდან
ინსტიტუტის საამისო
სპეციალისტები არ ჰყავს და
არც ინგლისურ გვარ-სახელთა ქართულად
გადაცემებზე უზუსტადაა. (წერილი
ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა
დამდგენი მუდმივი კომისიის თავმჯდომარეს
ამხანაურ დოქტორ ქართველშვილს
არნოლდ ჩიქობავა, 2 იანვარი, 1984
წ.) აქვე შევინათო რომ ეს შესანიშნავი
ნაშრომი, რომლის რედაქტორია
პროფესორი ნიკოლოზ ფიასშვილი,
მხოლოდ წელს ელრსა გამოცემას.
კიდევ ერთი საკითხიც ენა
საყოველთაო, სახალხო. ბატონი
არნოლდ ჩიქობავა ბრძანდა მხოლოდ
არც ერთ ენათმეცნიერს ენა არ
შეუქმნიაო. კონსტანტინე გამსახურდია
კი წერდა: ენას, ტერმინს ქმნის
ხალხი უსიტყვოდ, ქაოსურად შექმნილი
სიტყვების და მათი ავტორების
გასაგებად კი თავისი ჩვეული სიტყვით
წერდა „მოდერნიზმი“ ენის სწორებისათვის
ბრძოლა ისევე, როგორც სახელმწიფო
როგორც ხშირად დავიკა საქართველო
სამშობლოსა“. ენის სწორების დაცვა
ენის ნორმების დაცვის გარეშე
შეუძლებელია, მაგრამ ენობრივი
პროექტის შემოთავაზება მარტო
ენათმეცნიერის ვალი არ არის მხოლოდ
და მხოლოდ ენათმეცნიერი
დამუშავებულ ვერსიას ვერ შექმნის
თანამედროვე დარგების ლექსიკონებს,
და მასთანამედროვე ტერმინებს და სხვა.
ერთი რამ ცხადია, არ უნდა
დღევანდელი დრო სახელმწიფო ენის
მუდმივი სახელმწიფო კომისიის
შესაქმნელად ჩვენი სახელმწიფოებრივი
ერო-ერო ძირითადი პალატი -
ქართული ენა ხომ სწორედ ახლა
მოიხიბოს უღვივო ყრადღებს თუნდაც
აბრევიატურული ჩიხნად გამოსახულად
აუცილებელია დროულად განხილულ
იქნას წვენი პროექტი „ქართული
სიტყვათმცოდნეობის სისტემური წესი“,
რომელიც წარმოადგინებს ენის
სახელმწიფო კომისიის მიერ შექმნილ
ექსპერტთა ჯგუფს - აკადემიკოს თამაზ
გაგუნიას, პროფესორების გიორგი
ვარლამიშვილს და ზურაბ კუპრატაძის
შემადგენლობით. წელსწინვე შეტანილი
ეს პროექტი ელრსა განხილვის,
ვინაიდან არ შეუძლია სემსის სხდომა.
ამგვარი საკითხების მოუგვარებლობა
ხელს უწყობს ენობრივ ქაოსს,
ტერმინობრივ და სიტყვათმცოდნეობით
განუხილვადობას და სხვა.


იბრა იმთავითვე თვით ნის სტრუქტურაში იღო...

და ამით ენის სწორების დაცვის
თარაზზე ჩვენი მიერ, ოცნებ საჯარო
წერილშია აღნიშნული. ელემენტარული
მაგალიტები: დედებე (უნდა ეწერილი
და გამოეცხადებოდა დღეი ან დღეი)
შე-ქვე (შსა-; შსა), დე-სეთ (დსო-;
დსო), თე-ეუ (თსუ), ეს-ტეუ (სტუ)
და ათობით სხვა. ყველაზე თაღლიშ
საკმაო, სწორად წარმოებული სიტყვისა
კაცობა (ეკანტრალური ს-აარეენი
ეკოსი-ა; ეკსამ ვინილია, ეკსამი,
საინიარი შემოვიდა, ეკსის სხდომა,
ეკსად გადკეოდა და ა.შ.). მის
საკვლად მასშტაბში ხუთი-ექვსი
ცრუსახელმწიფოს ხმარება ფიქსირდება
ეკსიკო, ეკსო, ეკსაკო, ცსკ, ცსკო,
ცსკი. ასევე ნაკვლად იმისა, რომ
წერილი და წარმოეცხადებოდა სემსა
(ს-კაროეკელი ე-ნერგეტისი)
მარგველირებული ეროვნული კომისია
იწერება და ლაპარაკობენ სემსე და
ა.შ.

დაამტკიცოს. დებულებაში, ალბათ
დასახულებელია ერთ-ერთი
ზემო-ბატონი მიზნის მოსაწვევით ეტაა
რაც ქართული სალიტერატურო ენის
ნორმათა პროექტის დასამტკიცებლად
წარდგინდა ეტაა. კერძოდ, შესაყველი
ჩანს პუნქტი: „კომისიის საბაზო
სამეცნიერო დაწესებულების,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო
საბჭოს მიერ შემუშავებული ქართული
სალიტერატურო ენის ნორმათა
პროექტების დამტკიცება“. ქართული
ენის არა-აღმუშეობად დაკავშირებული
ხდება საკითხების შემუშავება,
საინსტიტუტო თემატიკის მიხედვით,
არ ევალდება ისედაც მცირეცხად
ენათმეცნიერების ინსტიტუტს, რომელიც
ამ პუნქტით მონაპოლიერ
მდგომარეობაშია: ქართული ენის
პროლემების დამტკიცებით
ინფორმირებულია ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სპეციალიზებული
კათედრების, პროლემების
ლაბორატორიების, ფილოლოგიისა და
ეურნალიტიკის ფაკულტეტების,
ლექსიკოგრაფიული ცენტრების, ასევე
სხვა უნივერსიტეტებისა და
ინსტიტუტების ანალოგიური სამეცნიერო
კათედრებისა და ფილოლოგიისა.
ზემო-ბატონი და სხვა დავგონებით
ენათმეცნიერების ინსტიტუტში ითვლება
ყოველდღიური ლექსიკონის ნორმატიულობის
განმარტვრულ დაწესებულებად (იხ.
ყოფილი პროლემების №6 25
ბრძანებულება, მ. ოქტომბერი, 1998
წ.). ამგვარ ენობრივ მონაპოლისთან
დაკავშირებით ერთი ცნობილი „კოზიხის
შესახებ ოცი წლის წინ ბატონი
არნოლდ ჩიქობავა წერდა: „ყოველგვარ
ლექსიკონთა შეფასებას ინსტიტუტი
ვერ იცისრებს ეს მონაპოლა იწებოდა.

„სახელმწიფო ენის მუდმივი
სახელმწიფო კომისია“ (სემსა) შეიქმნა
ინტენსიურად ფუნქციონირებისათვის
(სემსის დებულებაში ეკითხულობო:
„კომისიის სხდომა მოწვევა ორ თვეში
ერთჯერ. საინფორმაციო სხდომის მოწვევა
შეიძლება კომისიის თავმჯდომარის
თავმჯდომარის მოადგილის და ენის
სახელმწიფო პალატის წინადადებით“.
იხევე რეგორც არ შესრულებულა
ყოფილი პროლემების ბეიტი სხვა
დადგინდება, ასევე ორ თვეში ერთჯერ
არასდროს შემდგარა სემსის სხდომა,
ხოლო ენის სახელმწიფო პალატას
თავის ინიციატივით ერობილიც არ
მოუწვევია სემსის სხდომა და სხვა
„აქედ რეგორც აქამდე არსებული
სემსა, რეგორც „მუდმივი“
საუწყებლო ამგვარ არ ფუნქციონირებს
სიტყვამ „მუდმივი“ ფუნქცია დაკარგა.
დღეა დრო ენის ისედაც შელახული
პოზიცია უფრო არ დაემაძიმოთ. ეს

ბრძანებულება,
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო
ტექნიკურ და ეკონომიკურ
მეცნიერებათა ლექსიკოგრაფიული
ცენტრის ხელმძღვანელი



„მეხნიერებაში მონოპოლიას სიკეთე არასოდეს მოუზანია“

ვიოლა ვაშაყიძის „ინგლისური გვარ-სახელები“ გამო

დღეს, როცა ბებია და შვილიშვილიც კი იმეილებით ებაასებიან ერთმანეთს და როცა წიგნის გამოცემა უფრო ადვილი გახდა, ვიდრე წიგნის წაკითხვა, როცა ნებისმიერი ოპუსი დანერის უმალ იბეჭდება, ძნელი წარმოსადგენია, რომ ხელნაწერ წიგნს გამოცემის თარიღად 2004 ეწეროს. თანაც თუ ეს ხელნაწერი წიგნი სულაც არ წარმოადგენს სასუვენრო რამ კალიგრაფიულ გამოცემას, რაც დღესაც საკმაოდ ხშირია, როცა საქმე წმინდა ტექსტებს, ვეფხისტყაოსანს ან თუნდაც პოეზიას ეხება.

მე არც მცირეტირაფიანი თუ ქსეროკოპირების მეთოდებით გამოცემული წიგნები მაკვირვებს, ბოლოსდაბოლოს ჩემს

კოლექციაში არაერთი ასეთი იშვიათი გამოცემაა – საწერ მანქანაზე გამრავლებული პარიზული ემიგრანტული წიგნაკებით დანყებული და ჭაბუა ამირეჯიბის „გორა მბორგალის“ პირველი სტამბური გამოცემით დამთავრებული, რომლის ტირაჟი სულ 40 ეგზემპლარია.

იმ ორმა ხელნაწერმა ტომმა კი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ჩამიგვარდა ხელში, გამაკვირვა კიდევ და მრავალი საფიქრალიც აღმიძრა.

საქმე ეხება ვიოლა ვაშაყიძის ორნაწილიან ნაშრომს „ინგლისური გვარ-სახელები“, დაახლოებით 12 ათასი ერთეულის შემცველ ვეება ლექსიკონს, რომელსაც ქვესათაურად „ონომასტიკური მასალები“ ჰქვია.

ნაშრომის 700-ზე მეტი გვერდი ავტორს ხელით გადაუნერია და შემდეგ ასლგადამლები მანქანით გაუმრავლებია ორიოდ ათეულ ეგზემპლარად. არცერთი სტამბური ასო გამოცემაში არ არის, ის რამდენიმე გვერდიც, რომლებიც საწერი მანქანითაა გადაწერილი, ლექსიკონს დართული 20 წლის წინანდელი ოფიციალური მიმოწერის ნაწილია ნაშრომის გამოცემის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის.

ეს მიმოწერა კი თავისი შინაარსით სცილდება ერთი ნაშრომის გამოცემა-არგამოცემის საკითხს და დიხხაც იმსახურებს, რომ მეტი ტირაჟით გავრცელდეს დაინტერესებულ მკითხველთა შორის.

ავტორის მიმართვიდან ვიგებთ, რომ მისი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარ რედაქციაში მუშაობის პერიოდში, 1977 წლის 27 ივლისს, საქართველოს მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა კოლეგიამ დაუკვეთა მას ზემოხსენებული ლექსიკონი, რომელიც შესრულებული ჩაბარდა დამკვეთს 1980 წლის 20 იანვარს. არსებუ-

ლი წესის თანახმად, კოლეგიამ ნაშრომი გაუგზავნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტს საბოლოო რეცენზირებისათვის, საიდანაც კოლეგიის თავმჯდომარემ ოთარ ნოდიაძემ ასეთი წერილი მიიღო ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძის ხელმოწერით:

„პასუხად თქვენი ა.წ. 10 მარტის მიმართვისა, გაცნობებთ შემდეგს:

ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის გამგე, ან გარდაცვლილი პროფ. ივ.გიგინიევილი და ლექსიკოლოგიის განყოფილების გამგე, უფრ. მეცნ. თამაშრ. მ.ჭაბაშვილი ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში მუშაობდნენ უცხოურ საკუთარ სახელთა ქართულად გადმოცემის უნიფიცირებაზე.

აღნიშნული პირები ქსე-ში წარმოადგენდნენ ენათმეცნიერების ინსტიტუტს და ამდენად ევალეზობდათ უცხოური საკუთარი სახელების ქართულად გადმოცემის წესებში შეძლებისდაგვარად სრულად აესახად ქართულ სალიტერატურო ენაში არსებული ამჟამინდელი ვითარება.

მათ ეს სამუშაო შეასრულეს ცალკეული ენების სპეციალისტებთან თანამშრომლობით. კერძოდ, ინგლისური ადამიანთა და გეოგრაფიული სახელები, რომლებიც შედის ქსე-ში, განიხილეს პროფ. ნ.ყიასაშვილთან და გარკვეული რეკომენდაციები წარუდგინეს ქსე-ის მთავარ სპეციალურ რედაქციას.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ვ.ვაშაკიძის ინგლისურ-ქართული ლექსიკონის გამოცემის წინააღმდეგია ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ხელმძღვანელობა, სანამ ეს წესები განხილული და დამტკიცებული არ იქნება მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი

მუდმივი სახელმწიფო კომისიის მიერ და სანამ გამოცემული იარ იქნება უცხოურ პირთა და გეოგრაფიულ საკუთარ სახელთა ორთოგრაფიული ლექსიკონები (რომლებიც საბოლოო რედაქციას გადის).

ამის გამო ენათმეცნიერების ინსტიტუტი თავს იკავებს ვ.ვაშაკიძის ლექსიკონის რეცენზირებისაგან, სანამ ქსე-ის მთავარი სპეციალური რედაქცია შესაძლებლად არ მიიჩნევს მის გამოცემას“.

„ნაშრომის გამოცემა შეჩერდა, – წერს შემდეგ ვიოლა ვაშაკიძე, – ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს საგანგებო დავალებით ინსტიტუტმა მიიღო ნაშრომი სარეცენზიოდ (1984 წლის მარტი). იმხანად ჩემთვის ცნობილი გახდა ინფორმაცია ბნო.ჩერქეზიასათვის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ, ჩემს ზურგს უკან, ფარულად გაგზავნილი გამანადგურებელი დასკვნის შესახებ (1984 წლის 16 აპრილი). უსამართლობამ და ინსტიტუტის საძრახისმა ქმედებამ მაიძულა მოარებითი გზებით მომეპოვებინა იგი. პასუხი გავამზადე, მაგრამ კედელი ვერ გავარღვიე. მე არსად და არანაირად არ მომეცა საშუალება ჩემი ნაშრომის დაცვისა. მთელი სისრულით გათამაშდა მგლისა და კრავის იგავი. ჩემი იძულებითი დეტექტიური ქმედების დროს ასევე მივაკვლიე აკად. არნოლდ ჩიქობავას წერილს ბატონ დიმიტრი ქართველიშვილისადმი. ძალზე დიდ პატივად მივითვლი მის თანადგომას. აი, მისი წერილიც:

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი კომისიის თავმჯდომარეს ამხანაგ დიმიტრი ქართველიშვილს.

ვიოლა ვაშაკიძის „ინგლისურ გვარსახელთა ლექსიკონის“ გამოცემას ბევრი დაბრკოლება გადალობებია. ამჟამად

რეცენზიები დადებითია. ოღონდ ენათმეცნიერების ინსტიტუტის აზრია თავისებური.

ინსტიტუტის პასუხში ვკითხულობთ:

- 1) ვ.ვაშაკიძის „ინგლისურ-ქართული ონომასტიკონის“ გამოცემის წინააღმდეგია ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ხელმძღვანელობა,
- 2) სანამ ეს წესები განხილული და დამტკიცებული არ იქნება მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი კომისიის მიერ და
- 3) სანამ გამოცემული არ იქნება უცხოურ პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიული ლექსიკონი (რომელიც რედაქციას გადის).
- 4) ამის გამო ენათმეცნიერების ინსტიტუტი თავს იკავებს ვ.ვაშაკიძის ლექსიკონის რეცენზირებისაგან, სანამ ქსე-ის მთავარი სპეციალური რედაქცია შესაძლებლად არ მიიჩნევს მის გამოცემას.

თუ ვ.ვაშაკიძის შრომის გამოცემას საბჭოთა ენციკლოპედია გადაწყვეტს, ვ.ვაშაკიძის „ინგლისურ გვარ-სახელთა ლექსიკონს“ რედაქცია დასჭირდება და არა რეცენზირება, როგორც ამას ინსტიტუტის დირექტორი წერს.

მთავარი კი სხვა მიზეზი ჩანს: ჯერ უნდა გამოიცეს „უცხოურ პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (რომელიც რედაქციას გადის), მერე შეიძლება ვ.ვაშაკიძის ლექსიკონის რეცენზირების საკითხი დადგესო.

მაგრამ ეს ხომ სხვადასხვა ლექსიკონებია: სად „უცხოურ პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიული ლექსიკონი“ და სად „ინგლისურ გვარ-სახელთა ლექსიკონი“?

ინსტიტუტს საამისო სპეციალისტები არა ჰყავს და არც ინგლისურ გვარ-სახელთა ქართულად გადმოცემაზე უმუშავია. ინსტიტუტი ქართულ, რუსულ-ქართულ და ქართულ-რუსულ ლექსიკონებზე მუშაობდა. ინსტიტუტის კომპეტენციაში ეს შედის.

ყოველგვარ ლექსიკონთა შეფასებას ინსტიტუტი ვერ იკითრებს. ეს მონოპოლია იქნებოდა. მეცნიერებაში მონოპოლიას სიკეთე არასოდეს მოუტანია. ვიოლა ვაშაკიძის ლექსიკონის განხილვის უცნაური ისტორია ამას ადასტურებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი კომისიის წევრი:

არნოლდ ჩიქობავა
2 იანვარი, 1984 წ.

ამის შემდეგ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა სამმართველოს კულტურისა და განათლების განყოფილების გამგე კ.ბუხნიკაშვილი შემდეგ მოხსენებით ბარათს აახლებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ოთარ ჩერქეზიას:

„მოგახსენებთ, რომ ვ.ვაშაკიძის მიერ წარმოდგენილი „ინგლისურ-ქართული ონომასტიკონი“ შედგენილია საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგიის დაკვეთით.

კოლეგიამ 1980 წლის 20 იანვარს ჩაიბარა ნაშრომი და, სპეციალური რედაქტირების შემდეგ, სარეცენზიოდ გაუგზავნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების და ინგლისური ფილოლოგიის კათედრებს და ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებულ ტოპონიმიკური კვლე-

ვის ცენტრს, რაზედაც მიიღო დადებითი რეცენზიები და რეკომენდაციები ნაშრომის დაბეჭდვის თაობაზე.

დამატებითი რეცენზირებისათვის კოლეგიამ წიგნი ენათმეცნიერების ინსტიტუტს გაუგზავნა, რომელმაც რეცენზირებაზე უარი თქვა ორი მიზეზით:

- შრომა ვერ შეფასდება მანამ, სანამ ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მიერ შემუშავებული უცხოური საკუთარი სახელების ქართულად გადმოცემის წესები განხილული და დამტკიცებული არ იქნება მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი კომისიის მიერ;

- ვიდრე გამოცემული არ იქნება უცხოურ პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიული ლექსიკონები.

„ლიტერატურული საქართველოს“ ა/ნლის 5 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა გაშლილი ოფიციალური მასალა ენციკლოპედიის მომავალი მუშაობის თაობაზე, სადაც დადასტურებულია, რომ ენციკლოპედიაში „რედაქტირებას გადის საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული და პირთა სახელების ლექსიკონი“ (ლექსიკონი და არა სახელთა გადმოცემის წესები).

ამასთან დაკავშირებით აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა აღნიშნავს, რომ ეს ორი სხვადასხვა ლექსიკონია.

კოლეგიამ ხელმეორედ მიმართა ინსტიტუტს თხოვნით, აზრი გამოეთქვა აღნიშნული ნაშრომის შესახებ. ინსტიტუტმა დაასკვნა, რომ „ინგლისურ-ქართული ონომასტიკონი“ ნორმატიული ხასიათის პრეტენზიებს შეიცავს და რუბრიკა „მთარგმნელთა დასახმარებლად“ ამოღებული უნდა იქნეს, რათა მკითხველთა დეზორიენტაცია არ გამოიწვიოს და საჭიროდ სთვლის ნაშრომის გადამუშავებას შესავალი ნაწილითურთ.

წიგნში წარმოდგენილი მასალები საშუალებას მისცემს ფართო საზოგადოებრიობას მსჯელობის საგნად აქციოს დღესდღეობით მეტად აქტუალური საკითხი, რომლის განხილვის საფუძველზე შესაძლებელი გახდება საბოლოოდ შემუშავდეს ზოგადი პრინციპები არა მარტო ინგლისურ, არამედ სხვა ენათა საკუთარი სახელების ქართულად გადმოტანაზე და მომზადდეს შესაბამისი ლექსიკონები.

წიგნის გამოცემის საჭიროება ეჭვს არ იწვევს. ამას ისიც ადასტურებს, რომ ამ ბოლო დროს ქართული პრესის ფურცლებზე მეტად გახშირდა წერილები აღნიშნული საკითხების მოგვარების აუცილებლობაზე.

ნაშრომი ფაქტიურად ეხება ინგლისური სახელების სწორად გადმოტანას და არაფრით არ ბღალავს ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს.

ჩვენის აზრით და ენათმეცნიერების ინსტიტუტის მოთხოვნის შესაბამისად, ვ.ვაშაკიძის მიერ შედგენილი წიგნი უნდა გამოიცეს შემდეგი პირობების დაცვით:

- წიგნი დასათაურდეს – „ინგლისური გვარ-სახელები (ონომასტიკური მასალები)“;

- წინასიტყვაობაში საგანგებოდ და ხაზგასმით აღინიშნოს, რომ იგი არ წარმოადგენს ნორმატიულ დოკუმენტს;

- წიგნში გათვალისწინებული იქნეს ინსტიტუტის რიგი მნიშვნელოვანი შენიშვნებისა;

- ყველა შემთხვევაში იყოს მითითებული ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში აღნიშნულ პირთა სახელების დანერილობის ვარიანტები, რაც არ ნიშნავს საერთოდ ინგლისურ გვარ-სახელთა და ისტორიულ პირთა გვარ-სახელთა მიღებული დანერილობის სრულ თანხვედრას.

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგია, ნიგნის ავტორი ვ.ვაშაკიძე და რედაქტორი – ნ.ყიასაშვილი არსებითად ეთანხმებიან აღნიშნულ პირობებს.

საუბარი მქონდა და აღნიშნული მოხსენებითი ბარათი გავაცანი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარ რედაქტორს პოეტ-აკადემიკოს ი.აბაშიძეს და ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორს – აკადემიკოს ქ.ლომთათიძეს.

აკად. ი.აბაშიძე ჩვენს მოსაზრებას მართებულად თვლის, აკად. ქ.ლომთათიძე არ არის წინააღმდეგი ნიგნის გამოცემისა მოხსენებით ბარათში აღნიშნული პირობების გათვალისწინებით, ხოლო თავს იკავებს ოფიციალური რეცენზიის მიცემაზე.

ამ მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ოთარ ჩერქეზია 1985 წლის 29 აგვისტოს ოთარ ნოდისა სწერს:

„თანახმა ვარ თქვენი გეგმით გათვალისწინებული ნიგნი დაბეჭდოს განყოფილების მოხსენებით ბარათში გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით“.

მაგრამ საქართველოს მინისტრთა საბჭოს მიერ ანთებული მწვანე შუქი ნიგნის გამოსაცემად საკმარისი მაინც არ აღმოჩნდა. აი, რას წერს ვიოლა ვაშაკიძე კ.ბუხნიკაშვილის მოხსენებითი ბარათისა და ო.ჩერქეზიას თანხმობის წერილის შესახებ:

„დაისმის კითხვა: რა მოხდა, რას ნიშნავს ეს ყველაფერი? იმ გამანადგურებელი, დემაგოგიური დასკვნის შემდეგ რით და როგორ ავსხნა ეს მეტამორფოზა? როგორ გავითვალისწინო „ინსტიტუტის რიგი მნიშვნელოვანი შენიშვნებისა“, თუ „ინსტიტუტი თავს იკავებს ოფიციალური რეცენზიის მიცემაზე“.

თუმცა მე არც არაოფიციალურად მსმენია რა ამის შესახებ.

მეცნიერული ეთიკისა და უბრალოდ, ადამიანური სინდის-ნამუსის გამო, ამ კონფლიქტის ნამდვილი მიზეზის ხსენებას განზრახ ვეკრძალვი. მიუკერძოებელი, კეთილი ნების მკითხველი და მით უფრო, ენის სპეციალისტი, ძალზე ადვილად მიხვდება საქმის არსს. ამისათვის საჭირო იქნება შედარდეს ჩემი ლექსიკონი (1980) და ქსე-ისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის ერთობლივად გამოცემული „უცხოურ პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (1989), „საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (1989) და „საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (1987). შესაძარებელი კი ძალზე ბევრია. დაიკარგა ძვირფასი დრო, ხოლო საზოგადოებამ მიიღო ის, რაც მიიღო.

ნიგნის გეგმაში ჩასმა მხოლოდ ორი წლის იშემდეგ მოხერხდა. სტამბაში პოლიგრაფიული ტექნიკის არასრულყოფილებამ და ასანყობი ტექსტის სირთულემ გვაიძულა ნაშრომი ხელნაწერი სახით გამოსულიყო. მასალის სტამბური წესით, ყველა საჭირო ნიშნის გამოყენებით ტექსტის გადანერას კიდევ წელიწად-ნახევარი დასჭირდა. 1990 წლის მარტში ნიგნი მზად იყო გამოსაცემად, მაგრამ აქ გვინია ქვეყანაში მომხდარმა პოლიტიკურმა ძვრებმა, რის გამოც მისი გამოცემა გაურკვეველი დროით შეჩერდა.

მიუხედავად არსებული ვითარებისა, გავითვალისწინე პრობლემის აქტუალურობა და ჩემი სახსრებით შევეცადე მეტიმეტად შეზღუდული ტირაჟით წარმომედგინა საზოგადოებრიობისათვის ჩემი ბედისწერად ქცეული ნაშრომი იმ

სახით (უმნიშვნელო სარედაქციო შენიშვნებით), როგორც ის ჩაბარდა დამკვეთს 1980 წელს“.



სწორედ ეს გამოცემა ჩამივარდა ხელთ ამ ცოტა ხნის წინათ. როგორც მისი ანოტაცია გვამცნობს „ნაშრომი შედგება საკუთრივ ინგლისურ გვარ-სახელთა ლექსიკონის, სახელთმანარმოებელ კომპონენტთა ლექსიკონისა და სამეცნიერო აპარატისაგან. გვარ-სახელებს ახლავთ ფონეტიკური ტრანსკრიპციები, ქართული შესატყვისები, ბიბლიური თუ ტრადიციული ვარიანტები, ეტიმოლოგიური ცნობა და კომპონენტური ანალიზი. იგი განკუთვნილია მეცნიერ-მუშაკთა, მთარგმნელთა, მასმედიის მუშაკთა და მკითხველთა ფართო წრისათვის“.

ნაშრომის რედაქტორები არიან პროფ. ნ.ყიასაშვილი (თსუ ინგლისური ფილოლოგიის კათედრა) და ი.ქვაჩახია (გამომცემლობა „განათლება“); რეცენზენტები – ინგლისური ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატები: ლ.გამსახურდია და მ.დოქსოპულო (თსუ ინგლისური ფილოლოგიის კათედრა), ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გ.რამიშვილი და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი მ.მაჭავარიანი (თსუ ზოგადი ენათმეცნიერების კათედრა), ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი გ.ხორნაული და მეცნ. თანამშრომელი უ.სახლთხუციშვილი (თსუ ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ონომასტიკური კვლევის რესპუბლიკური ცენტრი).

ვიოლა ვაშაკიძე ამ მონუმენტურ ნაშრომს თავის შვილიშვილს ნინო ალხაზიშვილ-ემხვარს უძღვნის.

პირველ ტომს ერთვის გამოცემის რედაქტორის პროფესორ ნიკო ყიასაშვილის

1988 წლის 4 მარტით დათარიღებული წინასიტყვაობა, რომლის მოხმობაც სურათის სისრულისათვის აუცილებლად მიმაჩნია.

„დიდი ხანია მომნიფდა უცხო გვარ-სახელთა ქართულად გადმოტანის პრინციპების შეძლებისდაგვარად მონესრიგების საკითხი. ამის საჭიროება მწვავედ იგრძნობა მეცნიერულ პუბლიკაციებში, ქართული პრესის ფურცლებზე, ტელევიზიისა და რადიოს მეშვეობით გადმოცემულ უცხოური ყოფისა თუ კულტურული ცხოვრების ამსახველ ინფორმაციებში, სპორტულ კომენტატორთა რეპორტაჟებში და, ბოლოს, თვით მხატვრული ლიტერატურის თარგმანებში დაშვებულ ყოვლად შეუწყნარებელი სიჭრელისა და არეგ-დარევის ვითარებაში.

ამ მხრივ დიდი და პრინციპული ნაბიჯი გადაიდგა ქართული ენციკლოპედიის გამოცემით. მასში ბევრი მცდარი (ძირითადად რუსული ტრადიციის გავლენით შექმნილი) ფორმა ან მთლიანად გასწორდა, ან დატოვებულ ტრადიციულ ფორმას მიენერა სწორი გამოთქმა. ამის მიღწევა ალბათ ძალიან გაძნელდებოდა, თუ არა ან განსვენებული ბატონი ივანე გიგინიშვილის აქტიური პოზიცია.

მაგრამ ენციკლოპედიის სპეციფიკა (მხოლოდ ისტორიული პერსონალის გათვალისწინება) განსაზღვრავდა იმ გარემოებას, რომ მცდარი ტრადიციული ფორმების გასწორება ხშირ შემთხვევაში შეუძლებელი გახდა. დიდ სირთულეს წარმოადგენდა აგრეთვე გვარ-სახელთა დაწერილობის უნიფიცირება ენციკლოპედიაში წარმოდგენილი ყველა დარგისა და სფეროსადმი მიძღვნილ სტატიებში, რადგან ამა თუ იმ სპეციალისტ-კონსულტანტს წარმოუდგენლად მიაჩნდა რუსული გამოკვლევებიდან თუ სახელმძღვანელოებიდან გადმოსული მცდარი

ფორმების შეცვლა. უფრო მეტიც, მათთვის ისინი მცდარ ფორმებად არც კი აღიქმებოდა, იმდენად გამჯდარი იყო ყოველდღიურ ხმარებაში. ამ მხრივ ერთ-ერთ ყველაზე პროგრესულ გამონაკლისს წარმოადგენდა ან განსვენებული ბატონი გურამ დონდუა, რომელსაც შესანიშნავად ესმოდა მცდარი ფორმების გასწორების აუცილებლობა ჩვენი კულტურის განვითარების დღევანდელ ეტაპზე. ამიტომაც, დიდი ბრიტანეთის რუკა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის შესატყვის ტომში ასე ახლებურად და „პროგრესულად“ გამოიყურება.

წინამდებარე ნაშრომს, იმთავითვე, ენციკლოპედიისაგან სრულიად განსხვავებული ამოცანა ჰქონდა დასახული. ქსე-ში ინგლისური გვარ-სახელები ისტორიულ პირებთან არის დაკავშირებული. თუ ჩარღბ დარვინის გვარის გასწორებას ქართულად რამდენიმე თაობა დასჭირდება (ტრადიციის სიმყარის გამო), ამ გვარის ყველა დანარჩენი წარმომადგენელი იდარუინი იქნება. ეს იმავე რიგის გასწორებაა, როგორც უილიამი ვილიამის ნაცვლად.

ინგლისურ გამოთქმასთან მაქსიმალური მიახლოება, რა თქმა უნდა, დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული თვით ინგლისური და ქართული ფონოლოგიური სისტემის განსხვავების გამო. ამიტომ, როგორც წესი, ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ მაქსიმალურ შესაძლებელ მიახლოებაზე. თანაც ყველა შემთხვევაში სრული უნიფიცირების შესაძლებლობაც არ არსებობს და საჭიროა გამონაკლისის ახსნა, გამართლება, სუბიექტური მიდგომის მაქსიმალურად გამოორიცხვა.

ჩემს მოვალეობად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ნაშრომის ავტორი ეცადა მაქსიმალური თანამიმდევრობა და ლოგიკა დაეცვა პრინციპების შემუშავებისას, რამაც იგი

ზოგჯერ, ბუნებრივია, მაქსიმალისტურ მეთოდამდე მიიყვანა. იძულებული შევიქენი რედაქტორის უფლება გამომეყენებინა და ზოგჯერ „შემერბილებინა“ ავტორის მაქსიმალიზმი. ეს ძირითადად ეხება დიფთონგებისა და ე.წ. ნეიტრალური ბგერების გადმოტანის ზოგიერთ შემთხვევას, როცა, ჩემი ღრმა რწმენით, ქართულ ხმოვანთა შეთანხმება უტრირებულად და, ამდენად, არასწორად, გამოხატავდა ინგლისურ, ჩვენი ენისათვის სრულიად უცხო ხმოვანებას. ამ მხრივ რედაქტირების პროცესში დიდი დახმარება გამინია ინგლისური ენის ფონეტიკის სპეციალისტმა დოც. ლ. გამსახურდიამ. ამ ნაშრომის ერთ-ერთმა ოფიციალურმა რეცენზენტმა. უნდა აღინიშნოს, რომ ავტორს ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით თავისი განსხვავებული აზრის დაცვა შეეძლება მეცნიერულ პუბლიკაციებში.

ნაშრომს არამც და არამც არ გააჩნია კანონმდებლობითი პრეტენზია. იგი მხოლოდ და მხოლოდ რჩევას თავიდან იქნეს აცილებული ბევრი შეცდომა, უზუსტობა, დედნიდან დაშორება, ქართული ანბანის მეტ-ნაკლებად სრული გამოყენების უგულებელყოფა ინგლისური გვარ-სახელების ბგერითი მრავალფეროვნებისა და სიმდიდრის შეძლებისდაგვარად ზუსტად გადმოსატანად“.



ისევე როგორც არცერთ ჩემს კოლეგა ჟურნალისტს, მეც თითქმის ყოველდღიურად მიხდება უცხოური გვარ-სახელების გადმოტანა ქართულ ტექსტში და, რადგან ქართულ ენაზე არსებული თითო-ოროლა ლექსიკონი ამ მხრივ დიდად ვერაფერში მესმარებოდა და მესმარება, საამისოდ ჩემთვის შემუშავებული წესები და პრინციპები მაქვს. ასე რომ, საკითხზე, რომელსაც ვიოლა ვაშაკიძის

ნაშრომი ეხება, მეც მიმუშავია და თითო-ოროლა თეორიული პუბლიკაციის გარდა, ეს ჩემეული წესები და პრინციპები ჩემს ნაწერებში თუ ჩემი რედაქტორობით გამოშვებულ ზოგიერთ გაზეთში პრაქტიკულადაც გამოიყენებია. ვერ ვიტყვი, რომ ჩემი მოსაზრებები მთლიანად ემთხვევა ვიოლა ვაშაკიძისას, მეტიც – არაერთი მისი დებულება, რადიკალური თუ მაქსიმალისტური, საკამათოც და მიუღებელიც მგონია, მაგრამ მთლიანობაში მისი გამოკვლევა-ლექსიკონი უაღრესად საჭიროდ მიმაჩნია და არც მისი გამოცემის აუცილებლობაში მეპარება ეჭვი. დიახაც, უნდა გამოიცეს, დიახაც, სოლიდური ტირაჟით, რადგან სწორედ ასეთი ლექსიკონებითაც განისაზღვრება ამა თუ იმ ენის სიძლიერე. ასეთ ნაშრომთა და მათში ასე თუ ისე არგუმენტირებულ დებულებათა სიმრავლიდან კი ნებისმიერი ენისა თუ ნებისმიერი შემთხვევისათვის უეჭველად აირჩევა ის ერთადერთი მეთოდი, ის ერთადერთი გასაღები, რომელიც შეიძლება უკვე კანონადაც იქცეს. განსხვავებული აზრის გაუთვალისწინებლად მიღებული კანონი კი მკვდრადშობილი იქნება და ვერანაირ გავლენას ვერ იქონიებს. ენის სინ-

მინდის დაცვასა თუ მის განვითარებაზე. დრო მართლაც უკვე ძალიან ბევრია დაკარგული. თუ სასწრაფოდ არ ვილონთ რამე, გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესი კარგს არაფერს გვიქადის არც ჩვენ და არც ჩვენს ენას. ჩვენი ძალა კი, როგორც ახალ გერბს დავანერეთ, მხოლოდ ერთობაშია. „უჩემოდ ვინ იმღერეთა“ს და „უჩემოდ ვით იმღერეთა“ს პოლიტიკას, არნოლდ ჩიქობავას სათაურში გამოტანილი სიტყვებისა არ იყოს, არსად არასოდეს მოუტანია სიკეთე.

პაატა ნაცვლიშვილი

P.S. მარტო ენათმეცნიერების ინსტიტუტი ხომ არ არის! დარწმუნებული ვარ, რომელიმე სერიოზული ორგანიზაცია, ჩვენი თუ უცხოური, უეჭველად დაინტერესდება ვიოლა ვაშაკიძის ლექსიკონით და მის გამოსაცემ ფინანსურ სახსარსაც მოიძიებს. ასეთ შემთხვევაში ავტორს ალბათ რეკომენდაციები დასჭირდება გრანტის მიმნიჭებელ ორგანიზაციაში წარსადგენად. თუ ასე მოხდა, იქნებ ერთ რეკომენდაციად ამ ჩემმა წერილმაც ივარგოს...

**ქალბატონ ვიოლა გაშაკიძის ნაშრომი
“ინგლისური საკუთარი სახელები”**

მთარგმნელობით საქმიანობაში ერთ-ერთი საზრუნავია სახელთა ანუ ონომასტიკის გადატანა მეორე ენაზე. ამიტომ ქნ ვიოლა გაშაკიძის ნაშრომი ფრიად დასაფასებელი და გამოსაყენებელია. გ. გაშაკიძე კომპეტენტურად აყალიბებს საკითხს.

ნაშრომში მოცემული თავი “ონომასტიკის აგებულება” კარგი ინფორმაციული მასალაა ამ საკითხში გაუცნობიერებელი მკითხველისთვის. სტატიები “ინგლისური და ქართული ბგერების დახასიათება,” “საერთაშორისო სატრანსკრიფციო ანბანი და ბგერათა ქართული შესატყვისობები,” “ინგლისურ ასოთშეთანხმებათა წაკითხვა და მათი ქართულად გადმოტანის წესები” სამაგდო დამხმარე მასალაა ქართველი მთარგმნელებისთვის: თუნდაც სათარგმნი მასალის ონომასტიკა არ იყოს წარმოდგენილი ლექსიკონში, ან სხვა ენიდან თარგმნიდეს, ეს სტატიები ნებისმიერი უცხოური ონომასტიკის სწორ ქართულ შესატყვისს მოაძებნინებს მ ა რ გ მ ნ ე ლ ს.

ნაშრომის ძირითადი თავი “ინგლისური საკუთარი სახელები” შესანიშნავი ბრაქტიკული დახმარებაა ქართველი მთარგმნელებისთვის. მსგავსი ცნობარი სხვა ენებისთვისაც, მაგ., გერმანულის, ფრანგულის, რომ მომზადდებოდეს, ეს იქნება ქართულ მთარგმნელობით კულტურაში შეტანილი წვლილი.

ჩემი შთაბეჭდილებით, არაა გარკვევით ჩამოყალიბებული ნაშრომის დანიშნულება. ერთია, როდესაც ნაშრომი მეცნიერული კვლევაა და მეორეა, როდესაც ნაშრომი ბრაქტიკულად გამოსაყენებელია. ლექსიკონში მითითებული ერთეულების წარმომავლობა, მათი მნიშვნელობა, ბარალელები სხვა ევროპულ ენებთან, მითითებები სხვა შესაძლო ვარიანტებზე – ეს ყველაფერი ღირებული მეცნიერული აპარატია, რაც საჭიროა ენციკლოპედიური გამოცემისთვის. მ ა გ რ ა მ ი ვ ი გ ე მ ა ს ა ლ ა ართულებს წიგნის ბრაქტიკულ გამოყენებას და მეჩვენება, რომ ასეთმა გაორებამ დააყოვნა, რომ ნაშრომი ელიარებინათ, როგორც ბრაქტიკულად ფრიად საჭირო გამოცემა.

რაც შეეხება მეთოდოლოგიას. ჩემი ყველა შენიშვნა დაიყვანება იმაზე, რომ შემოთავაზებები გაართულებს ქართული ტექსტების აღქმას და ამ მიზეზით, ჩემი აზრით, ენაში არ დამკვიდრდება:

- ა. ორი თანხმოვნის გადმოტანა ანუ გემინატი, რადგან ქართულ წარმოთქმაში ეს არ იწვევს საგრძნობ ცვლილებას;

ბ. ამოღებული ასობის შემოტანა უფრო ზუსტად გადმოგვცემს გადმოსატან უღერადობას, მაგრამ გაართულებს ქართულ ორთოგრაფიას და ამიტომ არ დამკვიდრდება;

გ. . იგივე ითქმის მახვილის მასიურად ხმარებაზე.

დ. ქართული ენათმეცნიერების მამებმა სცადეს ასომთავრულის დაბრუნება, მაგრამ საზოგადოებამ არ მიიღო. ასომთავრული დეკორატიულ ელემენტად რჩება ქართულ გამოცემებში.

რაც შეეხება გ. გაშაკიძის მოსაზრებას, რომ ინგლისური ბგერების: თანხმოვნების, ხმოვნების, დიფტონგების ქართული შესატყვისობები სასარგებლოა სკოლაში ისწავლებოდეს, ვეთანხმები. რამდენადაც ვიცი, ზოგიერთ სკოლაში ასეც იქვეყიან მასწავლებლები. მ აგრამ საჭიროა ოფიციალურად იქნეს შეტანილი ასეთი მასალა სახელმძღვანელოებში. განათლების სამინისტროს კარგი კონსულტანტი ეყოლება ამ მასალისათვის ქალბატონ ვიოლა გაშაკიძის სახით.

ივანე ჯავახიშვილი

10.03.2015

„საქართველოს გაზეთი“, 1979.

ხელნაწილი პირობა მ. ანდრონიკაშვილი

ქართული ახვლედიანი

შ ო ნ ა ს ი ტ ვ ა ი ა ბ ა

აქვს ეწოდება ზოროასტრული რელიგიის საფუძვლად მიჩნეულ წყარს, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა შინაარსის მქონე ნაწარმოებთა კრებულს. იქნებოდა იგი სხვადასხვა დროს — ათასზე მეტი წლის განმავლობაში — დაახლოებით ძვ. წ. აღმ. IX საუკუნიდან ახ. წ. აღმ. III საუკუნემდე. შედგენილია აქვს ბევრი თანადროული წიგნი ერთ-ერთი დიალექტზე (ყველა ინანულის მქონე დიალექტი იგიუ ვ. წ. ძველი სპარსული, შემოინახული აქვს ინდიების ლურსმული წარწერების სხვით). აქვს ბრძანებული სრული ტექსტი არ გადაჩინებია: როგორც ვარაუდობენ, მას ზოგი ნაწილი განადგურდა ალექსანდრე მაკედონელის მიერ ირანის დაპყრობის დროს, ხოლო ზოგი მთლიანი ინანუ-ძლიანის შემოგზნის შედეგად.

აქვს არა მხოლოდ ჰაბრეტული ტექსტი; ლიცეებს და საკულტო ჰიმნებთან ერთად მასში მოცემულია მრავალ დარჩევა, კოსმოგონიური მოტივები და სხვ. აქვს ერთი ნაწილია ჯ ა ს ნ ა ბ ა (აქვს. yasna — ლიცეა, წიგნი); მათში გამოირჩევა კ ა თ ე ბ ა (აქვს. ვაჰა — გლობა), ახსენის უძველესი ნაწილი (სულ 17), როგორც ჩანს, თქმულია თვით ზარათუშტრა მკადავლის მიერ (ძველ ბერძნულად ზარათუშტრაა წარმოითქმობდა, როგორც ზარათასტრა; აქვს სხვა სხვადასხვა ზარათასტრა, ზარათასტრული და სხვ.). ზარათუშტრას ქადაგებაში შინაარსით უმთავრესად ხალხის ეთიკური მოტივები გამოიხატება. შინაარსით და მოხანდაღობის დამკვიდრება, მეტადრე — კერძოდ, ლეონტი განვითარება.

აქ მოცემულია მკადამდე გათის თარგმანი. მათი წარმოადგენს მიყვება ას-ნების სათვალავს. პეა, გია (— ანან) 28, გათა (— ანან) 30 და ა. შ. (გათის წარმოადგენს შედეგად ასნები: 28—34, 48—51 და 53 — სულ 17).

აქვს ერთი გათა ბრძანება ითარგმნა ქართულად 1924 წ. (ითარგმნა მხოლოდ 29 და 30 გათა: ანუნი მესტიყეა, № 2, 88; 87—102). შემდეგ, ხანდახან მოგვებით, თარგმნილი სხვა გათებიც; ზოგი მათგანი ბეჭდვით სხვადასხვა

ქართულში (ანათიოპში), თბ. სახელწოდებო უნივერსიტეტის შრომატემა, ან მიკლელი კრებულში). დღეს თარგმნილია ყველა 17 გათა. მთარგმნელის მიზანია გათების დენდის შინაარსის აღმკვეთად გადმოცემა; გათების დღიანი წარმოადგენს პეტრიტეულ ტექსტს, რაც თარგმანში არაა გათვალისწინებული.

თარგმნისას უმთავრესად ვეყვარებოდი ბ ა რ თ ო ლ ო მ ე ს' თარგმანს და მის ლექსიონს; ვისარგებოდი, რა თქმა უნდა, ს მ ი თ ო ს 2 და კ ლ ე მ ა ხ ი ს' თარგმანებით; რომელია მიხედვით ზოგიერთი რამ შეეძასწორე კიდევც ჩემს ადრინდელ თარგმანებში: ამათი თარგმანი ერთგვარად წინ გადადგმული ნაბიჯია ბართოლომეოსთან შედარებით.

მეცხველი დანახავს, რომ ზოგი რამ ბუნდოვანია, წინააღმდეგობრივია, როგორც სხვითილდ ყოველ რელიგიურ ტექსტში.

გათვალისწინებულია ასეც, რომ ჩემ მიერ გათები თარგმნილია სხვადასხვა დროს 40 წელზე მეტე ხნის განმავლობაში. ქართულში ვახსენებ ასე: ფ, გ და ა.

გ ი ო რ გ ი ა ხ ე ლ ე დ ი ა ნ ი
1972 წ.

1. Christian-Bartholomae — 1) Die Gatha's des Awesta, 1906; 2) Altiranisches Wörterbuch, 1961.
2. M. V. Smith — Studies in the Syntax of the Gatha's, 1929.
3. Helmut Humbach — Die Gathas des Zarathustra, B. I, 1959.

ა. ყოყაძე
 ლა თონაური ხელოვნება
 სოციალ-აქტი
 ხე. ბ. ჩხრევიძე

1984

ლათინური ანბანი

ბგერული	საბუნძლოდები	ბგერითი შესატყვისი
A a	ა	ა
B b	ბე	ბ
C c	ც	კ, ც
D d	დე	დ
E e	ე	ე
F f	ფ	ფ
G g	გე	გ
H h	ჰ	ჰ
I (i) i (i)	ი	ი
K k	კე	კ
L l	ელ	ლ
M m	მე	მ
N n	ნე	ნ
O o	ო	ო
P p	პე	პ
Q q	კე	კ
R r	ერ	რ
S s	ეს	ს
T t	ტი	ტ
U u	უ	უ
V v	ვე	ვ
X x	ქს	ქ
Y y	ფსილი	ფ, ი
Z z	ზეტი	ზ

ანბანში აღნიშნულ ასოთა გარდა ლათინურ დამწერლობაში გამოყენებულია დამატებითი ასო-ნიშნები:
 1. როული ხმოვნების (დფთონგების) გაღმოსაცემად: ae, oe, au, ei,
 2. როული თანხმოვნებისათვის: ch, ph, rh, th.

გამოთქმის წესები

1. დფთონგების აღნიშვნული ae და oe გამოითქმის როგორც ე au, eu — როგორც ავ და ვს.
2. C ასო გვიან დაბეჭდვითი წესით გამოითქმის:
 - ა) როგორც ქართ. ც, თუ მის ე და ი ხმოვნები მოსდეს,
 - ბ) როგორც — ჩი, ყველა დანარჩენ შემთხვევაში.
3. ngu — კომპლექსი ხმოვნთა წინ წაითხება როგორც ნგუ — (lingua — ლინგვა „ენა“).
4. s ორ ხმოვანს შუა გამოითქმის როგორც % (rosa „ვარდი“).
5. ti — კომპლექსი ხმოვნთა წინ გამოითქმის როგორც ტი (distantia დისტანცია „მანძილი“), მაგრამ თუ ამ კომპლექსს წინ უძღვს s, t ან x, მაშინ წაითხება როგორც ტი (bestia ბესტია „მეცხე“), სიტყვაში totius ი მარცვლი გამოითქმის როგორც ტი (totius „მოვლსა“).
6. როული თანხმოვნების აღნიშვნული ch, ph, th უნდა გამოითქვას როგორც ხ ფ და თ (schola სხოლა „სკოლა“), philosophus ფილოსოფუს „ფილოსოფოსი“, theatrum თეატრუმ „თეატრი“).

მაგალითი

მაგალითის დასმის წესი უმჯობესად დაგვიჩვენებელი კლასიფიკირებულია იმის ხმოვნთა კლასიფიკაციის მიხედვით — ხმოვნის შემადგენელი მარტივი-სიმბოლოებით. ვინაიდან სიტყვაში ჩატყვის სიტყვად დამსაჯებელი უმჯობესად გულისხმობს, აქ დაგვიჩვენებელი უნდა გამოითქვას მისაწოდანი წესების აღნიშვნით.
 მაგალითი წესი: ლათინურ ენაში სიტყვას მაგალითი აქვს ზოლოდან ან მისივე მარცვლით, ან — მაგალითი. აქედან გამოიძინებურ:
 1) ლათინური სიტყვის ბოლო მარცვალზე მ ა ხ ც ი ლ ი ო
 არ — დ ა ე ს კ ი ს (თუ სიტყვი, ცხადია, ეთიმოლოგიური არ არის);
 2) ორმარცვლიან სიტყვაში მაგალითი ყოველი მარცვლის პირველი
 მარცვალზე უნდა დაეყოს (vira „ცხოვრება“, terra „ქვეყანა“...).

ქსე-ის პირველი ტომის გამოვლამდე მოშზადა და დაისტამბა მთელი გამოცემის თემატური სიტყვა-
ნები და მაკტი, რომელთა განხილვაში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებებმა,
უმაღლესმა სასწავლებლებმა, პარტიულმა, სახელმწიფო, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზა-
ციებმა, შემოქმედებითმა კავშირებმა, უწყებებმა და საწარმოებმა. მრავალი მნიშვნელოვანი სტატია სარე-
ცენზიოდ გაეგზავნა კომპეტენტურ სამეცნიერო ორგანიზაციებსა და სპეციალისტებს. რედაქცია მადლობას
მოახსენებს მათ დახმარებისათვის. ჩვენ კვლავაც მადლობით მივიღებთ ქსე-ის გამოცემასთან დაკავშირებულ
ყოველ საქმიან შენიშვნას.

როგორ ვისარგებლოთ ენციკლოპედიით

სტატიები ენციკლოპედიაში მათი სათაური სიტყვების (ტერმინების) მიხედვით ანბანზე დალაგე-
ბული, ამასთან მხედველობაში მიიღება სტატიის სახელწოდებაში შემაჯავლი ყველა სიტყვის ასოთა
ანბანური რიგი. სიტყვა-ტერმინი, ჩვეულებრივ, მხოლოდ ერთ რიცხვშია მოცემული, გარდა იმ შემთხვე-
ვებისა, როცა სამეცნიერო ტერმინოლოგიაში მრავლობითის ფორმაა დამკვიდრებული. ხშირად სტატი-
ის სახელწოდება ზედსართავისა და არსებითი სახელისაგან შედგება. ამ შემთხვევაში სტატია უნდა
ვეძებოთ ან ზედსართავ, ან არსებით სახელზე. თუ სტატიის სახელწოდება ორი ან რამდენიმე სიტ-
ყვისაგან შედგება, ზოგჯერ აზრობრივად მთავარი სიტყვა პირველ ადგილზე დაისმის ამ შემთხვევა-
ში დასაშვებია ინვერსია (სიტყვათა შებრუნებული წყობა). მაგ., აბპრატნი სუმრული (და არა
სუმრული აბპრატნი).

ძეხ, ყ.ა., ს.ს. თხოვ, გ.წ. 1945

თუ სტატიის სახელწოდებას მოსდევს მისგან მძიმით გამოყოფილი და დამლით აწყობილი ერთი ან
რამდენიმე სიტყვა, ეს ნიშნავს, რომ იგი ძირითადი ტერმინის პარალელურად იხმარება ან მისი სინო-
ნიმია. მაგ., აბპრატნი, ებერდინი; ანბინა, მწვავე ტონილიტი, მწვავე ამ-
იგდალიტი; აშრა, იალქანი. თუ სტატიის სახელწოდება (ტერმინი) უცხო წარმოშობისაა,
მას ერთვის ეტიმოლოგიური ცნობა, მაგ., აბრონომი (ბერძნ. agronomos < agros—მინდორი, nom-
os—კანონი). ზოგჯერ ეტიმოლოგიური ცნობა ერთვის გეოგრაფიულ სახელსაც (ქალაქი, სოფელი,
ზღვა, მდინარე და მისთ.). როცა ერთნაირი სახელწოდების სტატიები ერთიმეორის მაყოლებით
არის დალაგებული და ეს სიტყვები ერთი და იმავე წარმომავლობისაა, ეტიმოლოგიური ცნობა დაერთვის
მხოლოდ ერთ მათგანს, როგორც წესი, პირველს.

„ალ“ არტიკლიანი არაბული საკუთარი სახელები სახელის ძირითად ნაწილზე უნდა ვეძებოთ. მაგ.,
ალ-ბირჟნი სიტყვა „ბირჟნი“ ასოთა ანბანური რიგის მიხედვით იქნება მთავარსიტყვით. „ალ“ არტიკლი
სათვალაფში არ შედის და სასათაურო სიტყვაში სახელის ძირითადი ნაწილისაგან განსხვავებით ნუსხურით
არის მოცემული.

იმ სტატიების სახელწოდებებს, რომლებიც ეძღვნება საზღვარგარეთის მოღვაწეებს, გეოგრაფიულ ობი-
ექტებს, პერიოდულ გამოცემებს, სააგენტოებს, მონოპოლიებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ა. შ.,
ფრჩხილებში მოსდევს დედაწინსული დაწერილობა. ეს წესი ვრცელდება მხოლოდ იმ ენების მიმართ, რო-
მლებიც ლათინური გრაფიით სარგებლობენ. ბერძნული სახელწოდებების (ტერმინების) დედაწინსული დაწე-
რილობა ლათინური ტრანსლიტერაციითაა მოცემული.

სსკ ხალხთა რევოლუციამდელი პერიოდის ისტორიულ მოვლენებს ძველი სტილით ვითარლებთ, ორ-
ივე სტილით—ძველითაც და ახლითაც (ფრჩხილებში)—თარიღდება განსაკუთრებული მნიშვნელობის მო-
ვლენები.

ბიოგრაფიულ სტატიებში გვარისა და სახელის შემდეგ ფრჩხილებში მითითებულია დაბადების და გარ-
დაცვალების თარიღები. თუ ორივე სტილია ნაჩვენები, თარიღი ახალი სტილით ფრჩხილებშია ჩასმული.
თუ თარიღი დადგენილი არ არის, სტატიაში აღინიშნება მოღვაწეობის საუკუნე, პერიოდი. თარიღის შე-
დგ; ჩვეულებრივ, ნაჩვენებია დაბადებისა და გარდაცვალების ადგილი.

ძიე ჩ 1 1945

ISBN 978 9941 9491-1-1



9 789941 949111